# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

№ 133 (5734)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# სპორტის აკადემიასაც სარმა გამოსდეს!





**მინისტრისგან განწირულებს ქვეყნის პრეზიდენტი ეიმედებათ** 2



2

## შეიძლება კიდევ ათასობით ათასი ადამიანი დარჩეს უმუშევარი

**500 ავტობუსი 50 000 000 ლარი დაგვიჯდებაო**

## იყიდეთ, იყიდეთ, საქართველოს ქონება!

7-10



**მოასწარით. ვიდრე ბენდუქიძეს არ გადაუფიქრებია!**



## თუ უნდა, სწორედ ციხეს უნდა რკინის კარები!

8

ედუარდ შევარდნაძე:

## „ივანოვის შესაძლო გაპრეზიდენტებაზე საუბარი ნაკლებად სარწმუნოა“



საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან იგორ ივანოვის გადადგომის ფაქტს მოულოდნელს უწოდებს და აცხადებს, რომ ამ დრომდე ივანოვი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს კარგად ასრულებდა.

შევარდნაძე აღნიშნავს, რომ გავრცელებული ინფორმაცია, ივანოვის შესაძლო გაპრეზიდენტების თაობაზე, ნაკლებად სარწმუნოა. „ივანოვი რუსეთში წლების განმავლობაში სერიოზულ გავლენას ფლობდა. მისი განცხადება პოსტის დატოვების შესახებ, ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. ჩვენ დიდი ხანი ერთად ვმუშაობდით. როდესაც მე საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, იგი სამდივნოს უფროსად მუშაობდა. შემდეგ ესპანეთში საბჭოთა კავშირის ელჩად დაინიშნა. იგორი პასუხისმგებლობის მქონე და გაწონასწორებული პიროვნებაა, შესაძლოა მისი თანამდებობიდან წასვლა ამანაც განაპირობა, თუმცა არა მგონია, რომ მას პრეზიდენტობაზე ჰქონდეს პრეტენზია“, – აღნიშნა საუბარში ედუარდ შევარდნაძემ.

„ვარდების რევოლუციის“ დროს იგორ ივანოვი იყო ერთადერთი რუსი მაღალჩინოსანი, რომელიც საქართველოში დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლის როლის შესასრულებლად ჩამოვიდა.

ედუარდ შევარდნაძე ამბობს, რომ მაშინ ივანოვმა მასზე დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულა, ვინაიდან მოქმედ პრეზიდენტსა და რევოლუციის ლიდერებს შორის შერიგება არ მოხდა.

ХО-ЭОВ-ЭБО

# სახელმწიფო

● ამგვარი კადრების სამჭედლოს დღეს საფრთხე დაემუქრა – 2007 წლის 4 ივლისს საქართველოს მთავრობის სხდომაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა სპორტის აკადემიის თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაციას დაუჭირა მხარი



მსოფლიო ჩემპიონი რუსუდან სიხარულიძე

◎ გაუქმება და გაძვირება



## შეიძლება კიდევ ათობით ათასი ადამიანი დარჩეს უმუშევარი

### 500 ავტობუსი 50 000 000 ლარი დაგვიჯდებაო

**მას მერე, რაც თბილისის საკრებულომ მუნიციპალურ ტრანსპორტზე ტარიფები გააორმაგა, მათ შეუმცირდა მგზავრთა რაოდენობა, რის შედეგადაც ხელისუფლების კონტროლირებად ბიზნესმენებს უზარმაზარი თანხები დააკლდა. მათ ახალი სქემის შემუშავება გადაწყვიტეს, რაც სექტემბრიდან ე. წ. „მარშრუტკების" გაუქმებას ითვალისწინებს. პრესკონფერენციაზე აღნიშნა, საქართველოს „ლეიბორისტული პარტიის" გენერალურმა მდივანმა გუგავამ.**



მისი თქმით, ამ ინფორმაციამ თავად მერიიდან გამოჟონა და ეს საქმე უშუალოდ ქალაქის ვიცე-მერს დავით ალავიძესა და ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის უფროსს ბატონ ჟღენტს აქვთ დავალებული.

**„უკვე სამი წელია, რაც სამარშრუტო ტაქსებს ლიცენზიას აღარ აძლევენ. ისინი მხოლოდ ხელისუფლების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებული. ეს არის ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომელთა უკან 2-3 ოჯახიც კი დგას.**

**ამის საშიშროება დაახლოებით 200 000 ადამიანს ემუქრება. და, თუ ამ გეგმის განხორციელება მოხერხდა, შემოდგომაზე მძღოლების საპროტესტო აქციების ბუმი იქნება, რაც შეიწირავს კიდეც ხელისუფლებას",** – აცხადებს გუგავა.

მისივე განმარტებით, ყოველივე ამას თანამდევი შედეგებიც ექნება, რადგან, შესაძლოა, 200-მდე ავტონაწილების მაღაზიაც გაკოტრდეს, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის უმუშევართა რაოდენობას.

ლეიბორისტული პარტიის წევრების თქმით, სამარშრუტო ტაქსების ხაზების შემცირების კანონს საკრებულო შემოდგომისთვის მიიღებს. ხაზებს ჯერ გაანახევრებენ, შემდეგ კი გააუქმებენ.

**„მუნიციპალურ ტრანსპორტზე გაორმაგებული ტარიფებიც არ არის საბოლოო. მას შემდეგ, რაც 500 ახალ ავტობუსს შემოიყვანენ, მგზავრობა ავტომატურად გაძვირდება. მათ შესაძენად 50 000 000 ლარი დაიხარჯება. ეს არის მსოფლიოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან აღებული სესხი, რომლის სასესხო ხელშეკრულებაში მოცემული ერთ-ერთი პუნქტი სწორედ ტარიფის პერმანენტულად გაზრდას ითვალისწინებს",** – დასძინა გუგავამ.

**სოფო გოგლიძე**

◎ სიტუაცია

## სპორტის აკადემიასაც სარმა გამოსდეს!

### მინისტრისგან განწირულებს ქვეყნის პრეზიდენტი ეიმედებათ

**შვიდი ათეული წელიწადია საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია სპორტის დარგისთვის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას ემსახურება. ამ ხნის განმავლობაში აქაურ კურსდამთავრებულებს ოლიმპიური თამაშების 18, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების 300-ზე მეტი ოქროს მედალი აქვთ მოხვეჭილი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ჯილდოებზე.**

ამგვარი კადრების სამჭედლოს დღეს საფრთხე დაემუქრა – 2007 წლის 4 ივლისს საქართველოს მთავრობის სხდომაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა სპორტის აკადემიის თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაციას დაუჭირა მხარი.

გუშინ ამ ფაქტთან დაკავშირებით სპორტის აკადემიასთან გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელოვანი სპორტსმენები, უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ სპორტის მინისტრის ამგვარი გადაწყვეტილების გამო. შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდნენ სასწავლებლის რექტორი, პროფ. ჯემალ გუგუშვილი, ოლიმპიური ჩემპიონები – რობერტ შავლაყაძე და შოთა ხაბარელი, მსოფლიო ჩემპიონი რუსუდან სიხარულიძე, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი რამაზ ნოზაძე, აკადემიის პროფესორები – დურმიშხან ჩიტაშვილი, გურამ ძაგანია, მამია ტულუში და სხვები.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: **„მხარს ვუჭერთ ქვეყანაში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმას, რომელიც ახალი გზის დასაწყისად მიგვაჩნია. ინტეგრაციის მოწინააღმდეგეები არ ვართ, მაგრამ ხელოვნურ გაერთიანებას ნამდვილად ვერ დავეთანხმებით.**



ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რამაზ ნოზაძე

**ინტეგრაცია, უპირველესად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს უნდა ამაღლებდეს, ზემოაღნიშნული გაერთიანება კი სპორტის აკადემიას საერთოდ აცამტვერებს.**

**ბატონო პრეზიდენტო! ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში სიტყვით გამოსვლისას თქვენ ბრძანეთ, რომ ერი ვერ იქნება ბრძოლისუნარიანი და არ ექნება ღირსების გრძნობა, თუ წარმატებებს ვერ აღწევს სპორტში. არადა, 70 წელიწადია, ჩვენი აკადემია ამ დიდ საქმეს ემსახურება. გთხოვთ, ნუ ჩააქრობთ სიჯანსაღის დიდ კერას, ნუ დაუხურავთ მის კარებს მომავალ თაობებს. სპორტის აკადემიამ თავისი მამულიშვილური საქმიანობით დამოუკიდებლად არსებობის უფლება ნამდვილად დაიმსახურა. სტატუსს ნუ გავუუქმებთ მას!**

**ბატონო პრეზიდენტო, ქართული ეროვნული სპორტის ქომაგო, თქვენი დიდი იმედი გვაქვს..."**

ამ სიტყვებს კომენტარი აღარ სჭირდება. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს პრეზიდენტი.

**ლექსო ცინცაძე**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

◎ პრეზენტაცია

## ვის მიმართოს საზოგადოებამ საჭირო ინფორმაციის მისაღებად?

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" წიგნების – „ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში" და „პერსონალური მონაცემების დაცვა – საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების" პრეზენტაცია გამართა.**

განიხილეს ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემები და ასოციაციის რეკომენდაციები წარმოადგინეს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტის გიორგი ჩხეიძის თქმით, ასოციაცია აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის თავისუფლების აქტის პოპულარიზებაში და ეს თავისუფლება არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ პრაქტიკის თვალთახედვითაც არის შესწავლილი. **„ინფორმაციის თავისუფლება ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად აღიარეს სხვადასხვა უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის, ინტერ ამერიკულმა სასამართლომ. გვჯერა, რომ ინფორმაციის მიღების უფლება მოქალაქეებისთვის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი ეფექტიანი საშუალებაა, რათა მათ დაიცვან საკუთარი უფლება და, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო უწყებების საქმიანობა გააკონტროლონ",** – განაცხადა მან.

მისი აზრით, 1999 წელს მიღებული „ზოგადი ადმინისტრაციის კოდექსი" მნიშვნელოვანი აქტი იყო, მაგრამ სახელმწიფო მმართველობა განვითარდა, კანონმდებლობა შეიცვალა; ამიტომ აუცილებელია ინფორმაციის თავისუფლების სფეროს გადახედვა, მისი გაფართოება; აუცილებელია ინფორმაციის თავისუფლების აქტი გავრცელდეს ისეთ დაწესებულებებზე, როგორიცაა კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებშიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა, ხოლო მათი საქმიანობა საჯარო ინტერესის საგანია. შესაბამისად, აუცილებელია მათ საქმიანობაზე კანონმდებლობის გავრცელება და ინფორმაციის თავისუფლების აქტით მოქალაქეებს მათგან ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდეთ.



გიორგი ჩხეიძის თქმით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის თანახმად, საჭიროა ინფორმაციის გასაიდუმლოების პროცედურების დარეგულირება, რაც აქამდე არ გაკეთებულა. **„იმის მიუხედავად, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ინფორმაციის თავისუფლების კუთხით დღემდე არსებითად არ შეცვლილა, მომიჯნავე კანონმდებლობაში თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები შეინიშნება. დავასახელებ საგადასახადო საიდუმლოებასა და საბაჟო კანონმდებლობას. ეს კანონმდებლობა ზღუდავს ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებს".**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ილაპარაკა მეორე წიგნზე – „პერსონალური მონაცემების დაცვა", რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნების ანალიზს ასახავს.

გიორგი ჩხეიძე შიშობს, რომ მაშინ, როდესაც საქართველოში გაუმჯობესდა სამოქმედო რეესტრის სისტემა, სახელმწიფო ორგანოები აქტიურად ეწევიან პერსონალური ინფორმაციის მიღება-დამუშავებას, გადაცემას, შენახვას. ასეთ ვითარებაში დიდია ადამიანის უფლებების დარღვევის ალბათობა. ინტერნეტში „მაგთის", „ჯეოსელის" მობილურების ბაზებია განთავსებული და მრავალი ჩვენგანის უფლება ირღვევა. საჯარო დაწესებულებებთან მიმართებაში არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული პროცედურები, თუ როგორ უნდა იყოს დაცული პერსონალური ინფორმაცია. ეს კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის.

„ქორთიარდ მარიოტში" ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საკუთარი ვებ-გვერდის პრეზენტაციაც გამართა. მასზე ინფორმაციის თავისუფლების მონაცემთა ბაზა და ელექტრონული ლექსიკონია განთავსებული. www.gyla.ge/foi – ამ ვებ-გვერდით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს და იპოვოს ინფორმაცია საქართველოს ნებისმიერი საჯარო დაწესებულების შესახებ. ორივე მონაცემთა ბაზა ქართულ და ინგლისურ ენებზეა.

ეს წიგნები და ვებ-გვერდი მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას, თუ ვის მიმართონ საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**ეს კიდევ ერთხელ უსიამოვნოდ გაფიქრებინებს, რომ ქვეყანას პარლამენტი და მისი თავმჯდომარე კი არა, სხვა ძალები მართავს. ამიტომ არ მიიჩნია ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად პარლამენტში დაბარებულმა ლომაიამ, ამიტომ არ მიიღო ბურჯანაძისგან ერთადერთი შენიშვნაც კი და ამიტომ ბუზიც არავის აუფრენია გიგი უგულავასა და „მისი მერიისათვის“**



◉ კონსტიტუცია – ქაღალდი და რეალობა

# ჭოლაძე მხოლოდ იმას იტყვის, რასაც დაავალებენ

## რევიზორებს ან დააშინებენ, ან თავს მოუქონავენ

**ქაღალდზე ბევრი რამ დიდებულადაა. წაიკითხავ და გულზე მოგეფონება, ისე კოხტადაა ჩამორაკრაკებული ყველაფერი, მაგრამ გარშემო მიმოიხედავ და...**

**ჩვენი კონსტიტუციაც ისეა შედგენილი, მოდექი და იცურავე, მაგრამ რეალურად რა და როგორაა, ხომ ვიცით?**

კონსტიტუციითვე, პარლამენტს მთავრობის „სამზარეულოში“ ჩახედვის ერთადერთი, მაგრამ მძლავრი იარაღი აქვს – კონტროლის პალატა.

მაშ, თუ ხელისუფლება მართლაც პატიოსანია, მთავრობას „ლევად“ გაფაჩუნების გონებაში გავლებაზეც კი ელეთ-მელეთი უნდა მოსდიოდეს, რადგან „ეწვევიან“ კონტროლის პალატის რევიზორები და სულ თითო თეთრობით დაუთვლიან ხარჯებს. თან მათს მიზნობრიობასაც შეუმოწმებენ. ამიტომ ამ მძლავრი უწყების ხელმძღვანელად პარლამენტის, უპირველესად კი, მისი თავმჯდომარის სანდო პიროვნება მოიაზრება ხოლმე. ასე იყო, როცა პალატის თავკაცის თანამდებობაზე პარლამენტმა ზურაბ სოსელია დაამტკიცა. ასე უნდა იყოს ახლაც, როცა ეს უწყება ლევან ჭოლაძეს დაუქვემდებარეს. თუმცა, მოარული ხმებით, ამჟამინდელი თავმჯდომარე მთლად ნინო ბურჯანაძის კადრი არ უნდა იყოს – პარლამენტის სპიკერი ერთ-ერთი შიდაპარტიული მძლავრი კლანის ნებას დაჰყვაო. ასეა თუ ისე, ჭოლაძე უკვე ორი თვეა ამ თანამდებობაზეა და სამსახურში მისულს მყისვე ორი რევიზიის ძალზე სერიოზული ოქმები დაახვედრეს – მერიისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 229 მილიონი ლარის მიზნობრივად ხარჯვისა, საიდანაც 140 მილიონის გახარჯვა ფრიად საეჭვო იყო და განათლების სამინისტროში 40 მილიონი ლარის „გაქრობის“ შესახებ.

„დემოკრატიული ფრონტის“ პოზიციაზე და მის მოთხოვნებზე, რაც ლომაიას პარლამენტში მისვლით „დაგვირგვინდა“, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ჩასაფიქრებელი ესაა: „დემფრონტელები“ გაოგნებული არიან – ჭოლაძე აცხადებს, არც ერთ ოქმში თანხების გაფლანგვა არ არის აღნუსხული, სერიოზული დარღვევები არა ჩანსო. არადა, ორივე ოქმი ცნობილია. მაშ, ან კონტროლის პალატის რევიზორები არიან უვიცები, ან მიკერძოებით, შეიძლება, ვინმეს დავალებითაც მოქმედებდნენ, ანდა ჭოლაძეს ამ ოქმების გაყალბება მოსთხოვეს (სწორედ ამას ეჭვობს ოპოზიციაძ.

თუ ასეა, სამიდან ნებისმიერი ვარიანტი ჯოხის რევიზორებზე გადატეხას გულისხმობს. მერედა გაჩუმდებიან ისინი? ალბათ, ან დააშინებენ, ან თავს მოუქონავენ და ფორმალურად დასჯიან.

ეს რომ ეგრე იქნებოდა, მთელი ჩვენი რეალობა ადასტურებს.

ერთ-ერთი ოქმის მიხედვით, ლომაიას უწყებაში გაფლანგული 40 მილიონის თაობაზე მსჯელობისას, პარლამენტის თავმჯდომარეს ეჭვადაც არ უვარაუდია მინისტრის ბრალეულობა და მხოლოდ იმას გაიძახოდა, დაასახელოს ბატონმა ლომაიამ, სახელდობრ კონტროლის პალატის რომელი მუშაკები ცდილობდნენ განათლების სამინისტროსგან ფულის გამოძალვასო. ე. ი. ნართაულად გამორიცხა ამ უწყებაში ფულის გაფლანგვის შესაძლებლობა და იქით კონტროლის პალატას, ანუ იმას მიაწვა, რაც, ასე ვთქვათ, „პარლამენტის ორგანოდ“ მოიაზრება.

ეს კიდევ ერთხელ უსიამოვნოდ გაფიქრებინებს, რომ ქვეყანას პარლამენტი და მისი თავმჯდომარე კი არა, სხვა ძალები მართავს. ამიტომ არ მიიჩნია ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად პარლამენტში დაბარებულმა ლომაიამ, ამიტომ არ მიიღო ბურჯანაძისგან ერთადერთი შენიშვნაც კი და ამიტომ ბუზიც არავის აუფრენია გიგი უგულავასა და „მისი მერიისათვის“.

**„დემოკრატიული ფრონტი“ პარლამენტში ახლა ჭოლაძის მისვლას მოითხოვს. ვთქვათ და, მივიდა, მერე რა? ჰგონიათ, ეს პანაცეა იქნება? ჭოლაძე ზუსტად იმას და ისე იტყვის, რასაც დაარიგებენ, მოსთხოვენ. მაშ, რა აზრი აქვს ცრუ ბაქი-ბუქს? ეგებ, უმჯობესია ე. წ. ოპოზიციამ სულაც დატოვოს ის ორგანო, სადაც სულ ფუჭად სხედან. ეგებ, ამან უფრო გაჭრას?**

**კონსტანტინე გურგენიძე**

◉ ყველას თავისი აზრი აქვს

# მოდი, ვნახოთ საკრებულო

***რასაკვირველია, ჩემი საქმე არ არის, ქვეყნის პირველი პირი, როცა თბილისშია, სად და რისთვის მივა. ის კია, რომ საკუთარი შეხედულების, თუნდაც ჟურნალისტურის, ქონას ვერავინ დამიშლის (მაგალითად, გაკვირვების ფორმით – პრეზიდენტობის სამზე მეტი წლის სიგრძეზე ერთხელ მაინც რატომ არ მიბრძანდა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში...ძ.***

ამჯერად აზრის გამოთქმის ნებას თავს ვაძლევ ახლახან საკრებულოში ქვეყნის მეთაურის გამოსვლის თაობაზე, რამაც, თუ გულახდილობისათვის არ შემომწყრებიან, უსიამოვნო დანაშრევი დამიტოვა.

სატრანსპორტო ტარიფის ულვთოდ (ანუ უსინდისოდძ გაძვირების მერე მოსალოდნელი იყო, რომ პრეზიდენტი პირველივე სატელეეკრანო შემთხვევას გამოიყენებდა ამ ამბის საკომენტაროდ. სულო ცოდვილო და, ცულლუტური ფიქრიც მიტრიალებდა – ეგებ „ჩაწყობილი“, საპიარო გაძვირება იყო „კეთილი მეფის“ გამოსაჩენად-მეთქი და, ახლა ქვეყნის უმაღლესი პირი მიუტრიალდება მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, მაჯის საათს დახედავს და იტყვის: 24 (ან 48ძ საათში მგზავრობის ღირებულება ძველ ნიშნულს დაუბრუნეთო...

საქმეში ხარ? ეგ კი არა, ავტობუსში სამშვილიანი (სამმოსწავლიანიძ მშობლის ამოსვლა გვიანგარიშა, ბევრიაო, აღიარა, მაგრამ იმით დაგვამშვიდა, სამაგიეროდ კომფორტულ ავტობუსებს ჩამოვიყვანთო.

ქალაქის ფარგლებში უკომფორტო გადაადგილებას გავუძლებ, ავტობუსში არც ტელევიზორი მჭირდება, არც შხაპი და არც მაცივარი, ოღონდ კი იაფი იყოს. ეგეც რომ არა, იმ ავტობუსების ჩამოყვანით ვინ როგორ მოითბობს ხელს და ვინ რამდენს „მოლუნავს“, კიდევ საკითხავია. ისიც საკითხავია, ასეთი ავტობუსები, ბაკურიანის ძვირფასი „კუკუშკისა“ არ იყოს, ვის მოემსახურება, მისასვლელებსა თუ ქისათხელთ და რა ფასად – ვაითუ 40 თეთრზე მეტი ეღიროს...

მეორე მომენტი გახლდათ ხოტბის შესხმა საკრებულოს წევრთათვის, თქვენ საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ხართო. „საუკეთესო“ თუ დიდხელფასიანობას, ახალ-ახალი გადასახადების შემოღებისა და ტარიფების გაზრდის დადგენილებებს ნიშნავს, კი ბატონო! მაგრამ, ასე რომ არ არის? ამგვარი ლაპარაკი ხომ საკრებულოს მიღმა მყოფი საზოგადოების დაკნინებაა! ან ეგებ ტელეეკრანით რომ საკრებულოს სხდომებზე ჩხუბის, ლანძღვისა და ცემა-ტყეპის კადრები გვინახავს, ამით არიან საუკეთესონი?

**ჭკუას არავის არ ვარიგებ, მაგრამ არც საკრებულოში და არც პარლამენტში უმეტესად საუკეთესონი კი არა არიან, არამედ არჩეულნი, მოხვედრილი, გამძვრალი თუ შემძვრალი ადამიანები, ხოლო „არჩეული“ ავტომატურად „რჩეული“ როდია...**

მძიმე „ასატანი“ იყო აგრეთვე არაერთი დამსწრის პირფერული გამომეტყველება და თავის კანტური პრეზიდენტის სიტყვის კვალდაკვალ, რასაც დროდადრო „ამზეურებდა“ ჩვენი ეშმაკი ტელევიზია. ოღონდ ამან ვერ გადაფარა იმავე დღეს ბორჯომიდან მოწოდებული კადრები, სადაც ხალხის სამსახურში გვარიანად ჩამრგვალებული იქაური მაჟორიტარი დეპუტატი „ბრენდული“ მლიქვნელური იერით დაჰყვებოდა ქვეყნის პირველ პირს...

მიველ, ვნახე საკრებულო...

**თამაზ ეზანოიძე**

◉ კანონმდებლები

# რატომ ვერ მიდიან რიგითი მოქალაქეები დავის გადასაწყვეტად სასამართლოში?

**პარლამენტის მომავალ რიგგარეშე სესიაზე ოპოზიცია მოითხოვს, რომ მომზადდეს დადგენილების პროექტი სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.**

შეგახსენებთ, რომ სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში კარგა ხნის წინათ წარადგინა, მაგრამ პარლამენტს ამის გამო რაიმე დადგენილება ჯერაც არ მიუღია.

– ეს არ არის რიგითი საკითხი. ადამიანის უფლებები საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. სახალხო დამცველს სერიოზული ანგარიში ჰქონდა, 800-გვერდიანი ანგარიში წარადგინა, ამის უგულებელყოფა სწორი არ არის, – აცხადებს „მემარჯვენე“ მამუკა კაციტაძე.

ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ პარლამენტი არ აპირებს სახალხო დამცველის ანგარიშის იგნორირებას. ბურჯანაძის განმარტებით, ანგარიში სერიოზულად განიხილეს. დადგენილების პროექტი ჯერ წარმოდგენილი არ არის, მაგრამ როგორც კი ეს იქნება, მაშინვე სესიის დღის წესრიგში შეიტანენ.

ამ კვირისთვის გადაიტანეს კონტროლის პალატის საქმიანობის შემსწავლელი საპარლამენტო ჯგუფის მოხსენებაც. წინა კვირას ლევან ჭოლაძეს პარლამენტში ამაოდ ელოდნენ. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ამჯერად კონტროლის პალატის თავმჯდომარე პარლამენტში აუცილებლად გამოცხადდება. ასევე გაირკვევა სამეწარმეო დავებზე სასამართლო ბაჟის შემცირება-არშემცირების საკითხი. ამ საკითხზე, ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერის ზურაბ ტყემალაძის ინიციატივით, საკანონმდებლო პროექტი მომზადდა.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონით, სამეწარმეო დავებისთვის სასამართლო ბაჟის ზედა ზღვრად 50 ათასი ლარია განსაზღვრული. იგი სრულიად საფუძვლიანად მოითხოვს ამ თანხის შემცირებას. თავდაპირველად, ტყემალაძის კანონპროექტში ბაჟის 5 ათას ლარამდე შემცირება იყო გათვალისწინებული. პირველი მოსმენისას შეჯერდნენ, რომ ფიზიკური პირებისთვის იქნებოდა 3 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის – 8 ათასი ლარი. მეორე მოსმენით კი უკეთესი ვარიანტი დასახელდა. ფიზიკური პირისთვის თანხა განისაზღვრებოდა 10 ათასი ლარით, ხოლო იურიდიულებისთვის – 15 ათასით.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ საკითხის გადადება მოითხოვა.

– საკითხის იურიდიული საკითხთა კომიტეტსა და იუსტიციის საბჭოში განხილვამდე, მისი სესიაზე გატანის წინააღმდეგი ვარ, – აღნიშნა ლევან ბეჟაშვილმა. საკითხის განხილვა თითქოსდა ამ მიზეზით გადაიდო, ნამდვილად კი, თურმე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ბაჟის შემცირებას არ ეთანხმება და, საბოლოო შეთანხმებამდე საკითხის განხილვიდან ამოღება მოითხოვეს. პარლამენტში აცხადებენ, რომ ბაჟის შემცირება აუცილებელია, ვინაიდან გაზრდილი ბაჟი პრობლემას უქმნის რიგით მოქალაქეებს. დავის გადასაწყვეტად მათ სასამართლოსთვის ველარ მიუმართავთ.



**მზია გელენავა**

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

# თავდაცვა

● მიუხედავად გარე ვექტორების ხელშეწყობით ქვეყანაში შიდა პოლიტიკური და შიდა უწყებრივი დაპირისპირებისა, აფხაზეთში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, მეტ-ნაკლებად მაინც შექმნა ქართული შეიარაღებული ძალების ბირთვის ჩამოყალიბების სიტუაციური ფონი



◎ განსჯა

# ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა – გარე ვექტორთა უმთავრესი სამიზნე

## ქვეყნის, როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი წარმონაქმნის, სრულფასოვნად ჩამოყალიბების ხელის შესაშლელად, მისი საფუძვლები უნდა შეარყიო

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, 2000-03 წლების განმავლობაში განვითარებული მოვლენების ანალიზმა ცხადყო, რომ მოცემული მომენტისთვის საზოგადოების პოლიტიკურმა პოლარიზებამ პიკს მიაღწია.

თავდაპირველად, ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური მიმართულებების მიერ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით იქმნებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში მყოფ სტუდენტთა, პედაგოგთა, ექიმთა, ხელოვნების მუშაკთა გაერთიანებები, რასაც შედეგად მოჰყვა არასამთავრობო სექტორის ვიწრო-პოლიტიკური კონიუნქტურული მიზნების მიხედვით პოლარიზება.

პოლიტიკური პოლარიზება (განსაკუთრებით ინფორმაციული ფონის სახითძ შეეხო შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად წარმოშობილ სოციალურ ფენასაც – იძულებით გადაადგილებულ პირებს.

პოლიტიკური დაპირისპირების კულმინაციად შეიძლება განვსაზღვროთ პოლიტიკური მიმართულებების გვერდით, მათი მხარდამჭერი შეიარაღებული დაჯგუფებების გამოჩენა, რომელთა ბაზისადაც (ძირითადში, ისევ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებითძ ცდილობდნენ წარმოედგინათ 1988-94 წლებში სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების უშუალო მონაწილეები (ex-combatantsძ.

აღნიშნული კონტინგენტის მსგავს პროცესებში ჩათრევის შედეგები (თბილისი, დასავლეთ საქართველო 1991-93 წწ. 1998 წ. ოქტომბერიძ, დღესაც საკმაოდ შემორჩა მეხსიერებას.

1991-93 წლებში ჩვენ აღმოვჩნდით სხვის თამაშში ჩართული მოთამაშეების როლში.

თამაშის დამკვეთთა მთავარი მიზანი კი, ქვეყანაში ადგილობრივი ხელისუფლებისთვის (განურჩევლად მისი პოლიტიკური პლატფორმისა და ლიდერის პიროვნებისა) უმართავი პროცესების მაქსიმალური ხანგრძლივობით შენარჩუნება იყო. ყველას კარგად გვახსოვს, რომ 1990-ანი წლების დასაწყისში, ურთიერთდაპირისპირებული ბანაკები იარაღს ერთი წყაროდან ღებულობდნენ, ამასთან, ისეთი ბალანსით, რომ არც ერთ მათგანს არ მოეპოვებინა გადამწყვეტი უპირატესობა.

ასე იყო თბილისის ომის დროს.

ასე იყო სამოქალაქო ომების დროს.

ასე იყო აფხაზეთში.

მიუხედავად გარე ვექტორების ხელშეწყობით ქვეყანაში შიდა პოლიტიკური და შიდა უწყებრივი დაპირისპირებისა, აფხაზეთში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, მეტ-ნაკლებად მაინც შექმნა ქართული შეიარაღებული ძალების ბირთვის ჩამოყალიბების სიტუაციური ფონი.

მაგრამ, მხოლოდ მეტ-ნაკლებად.

1994 წლიდან, მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის ხელშეწყობით, იწყება შეიარაღებულ ძალთა პრაქტიკული დეზორგანიზება: 01 კატეგორიით გაწყობილი ს/ნ-ის 52-ე კატეგორიით გაწყობა და პირიქით; თავდაცვის სამინისტროში კორუმპირებულ ოფიცერთა კადრების „გადმოსროლა“ ძირითადად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქიდან და მათით ეროვნული კადრების ჩანაცვლება, ამ უკანასკნელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვის ნაცვლად. როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, „დარტყმის“ უპირველეს ობიექტად იქცა ის სამხედრო ნაწილები, რომლებიც წარმოადგენდნენ „თეთრი არწივის“ ბირთვს – სამხედრო შენაერთები, რომელთაც, სხვებთან შედარებით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მეტი გამოცდილება ჰქონდათ.

გარდა ამისა, იწყება დემობილიზებულთა – ახალგაზრდა ვეტერანთა დევნა, მათი სოციალური მდგომარეობის უკიდურესობამდე მიყვანა (რა თქმა უნდა, ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ისტებლიშმენტის ხელშეწყობით), მათი ხელოვნური „კრიმინალიზირება“ და ქვეყნის საზოგადოებასა და სამხედრო, ფორმიან ადამიანებს შორის უფსკრულის ჩამოყალიბება.

მაგალითად, 1993 წლიდან სომხეთში, თავდაცვის მინისტრის ვაზგენ სარქისიანის უშუალო ხელმძღვანელობით, ერთიანდება მანამდე დაქსაქსული და დამოუკიდებლად მოქმედი პატრიოტული ორგანიზაციები ერთ ძლიერ სტრუქტურად „ერკრაპად“ („მამულის დამცველი მოხალისეები“).

გაერთიანებული ვეტერანების ძალის მნიშვნელობა გამოჩნდა სომხეთის უახლეს ისტორიაში შიდა პოლიტიკური კრიზისის ორ კულმინაციურ მომენტშიც – 1998 წ. თებერვალში (კანონიერად არჩეული ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის იძულებით გადაყენება) და 1999 წ. 27 ოქტომბერს (პარლამენტის შენობაში ქვეყნის პოლიტიკური და სახელისუფლებო ისტებლიშმენტის ფაქტობრივი დახვრეტა).

ორივე შემთხვევაში, სწორედ ვეტერანებმა, საკუთარი ავტორიტეტისა და ძალის მეშვეობით მოახერხეს სიტუაციაზე კონტროლის დამყარება და, მიუხედავად გარე ძალების მცდელობისა, არ მოხდა ესკალაციის პროცესების გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„ერკრაპას“ ეგიდით ვეტერანებმა მონაწილეობა მიიღეს სომხეთის 1995 და 1997 წ.წ. საპარლამენტო არჩევნებში და სახალხო კრებაში (პარლამენტში) შესაბამისი ფრაქციაც კი ჩამოაყალიბეს. ფრაქციის მოღვაწეობის შედეგად, სომხეთის სახალხო კრებამ მიიღო არაერთი მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ეხებოდა ქვეყანაში ვეტერანთა სოციალურ და იურიდიულ დაცვას. ამ მიზნების განხორციელებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე პუნქტიც კი არის გათვალისწინებული (აქ ლაპარაკია ძირითადში ყარაბაღის ომის ვეტერანებზე, საბიუჯეტო პუნქტი კი ითვალისწინებს, საპენსიო ფონდის გარდა, სოციალური პროგრამების ხელშეწყობას).

ალბათ, სომხეთის გამოცდილებით იყო, რომ ქართველ ვეტერანებს საშუალებას არ აძლევდნენ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოეხდინათ რეალური გაერთიანება ერთ ძლიერ ორგანიზაციად.

ალბათ, იგივე გამოცდილების გათვალისწინებით იყო, რომ მიუხედავად გია ყარყარაშვილის მცდელობისა, ქვეყნის ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ამნისტიები ეხებოდა „კლასიკურ“ კრიმინალებს, მაგრამ არ ეხება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო „გაკრიმინალებულ“ ვეტერანებს.

ალბათ, იგივე გამოცდილების გათვალისწინებით იყო, რომ ვეტერანთა რიცხვი უსაზღვროდ იზრდებოდა, ხოლო სხვადასხვა სახელწიფო თუ კერძო სტრუქტურის „ვირთხებისგან“ მუდმივად გვესმოდა ფრთოსანი ფრაზა – „ვინ გთხოვდათ საომრად წასვლას? ვერ დაეტიეთ ადგილზე?“. არა და ამის მთქმელთაგან უმეტესობას ჯიბეში თავად ედო (და ალბათ დღესაც უდევს) ვეტერანთა მოწმობები. ეს ხომ გარკვეულ შეღავათებს იძლეოდა, რომელთა ჩამორთმევასაც ცდილობდნენ 90-ანი წლების ბოლოდან.

**აქვე აღსანიშნავია, რომ სომეხ ვეტერანთა გარშემო ბოლო 3-4 წლის განმავლობაში შექმნილი ვითარება, გარკვეულ წილად წააგავს 90-ანი წლების საქართველოში ვეტერანთა გარშემო შექმნილ ვითარებას.**

საქართველოში იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მუშაობდა არა მარტო ვეტერანების, არამედ მთელი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

ეს იყო „დამარცხებული“ ჯარის იმიჯი, რომელიც არც ისე იშვიათად, და საკმაოდ ზუსტად, გამოიყენებოდა შესატყვის სიტუაციურ მომენტებში.

მაგრამ ამ ფაქტორთან დაკავშირებით არსებობდა (და დღესაც არსებობს) ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელსაც პასუხს არ სცემდნენ თავად იმიჯის შემქმნელნი:

**დამარცხებული ჯარი – მოწინააღმდეგესთან საბრძოლო მოქმედებების დროს**?

თუ **დამარცხებული ჯარი – საკუთარ ხელისუფლებასთან და სარდლობასთან და მათ გარშემო მყოფ გარე ვექტორთა სატელიტ ძალებთან ჭიდილში?**

უცნაურია, მაგრამ ომის დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების შენაერთები სარდლობისგან უკან დახევის ბრძანებებს უფრო ხშირად ღებულობდნენ (თანაც, მნიშვნელოვანი საბრძოლო წარმატებების მომენტში), ვიდრე სხვა, საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის დამახასიათებელ ბრძანებებსა და განკარგულებებს.

სწორედ მნიშვნელოვანი საომარი წარმატებების მომენტში, სამჯერ, 1992 წლის შემოდგომაზე და 1993 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, კონფლიქტში სამშვიდობო შუამავლის, რუსეთის ინიციატივითა და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებით, შეჩერდა საომარი მოქმედებები აფხაზეთში.

– შედეგად:

– სამშვიდობო შეთანხმებათა საფუძველზე, გაგრიდან (1992 წ.) და სოხუმიდან (1993 წ.) გავიყვანეთ ქართული სამხედრო ფორმირებების მძიმე საბრძოლო ტექნიკა და არტილერია. შესაბამისად – დავკარგეთ გაგრა და სოხუმი.

1993 წლის გაზაფხულზე, რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ავტოკოლონით ტყვარჩელში შევიდა „ჰუმანიტარული“ ტვირთი, რომლის ინსპექტირების უფლებაც, ბუნებრივია, ქართულ მხარეს არ მიეცა. შედეგად – ვითარების გამწვავება ლაბრის მიმართულებით და ივლისში „ტამიშის დესანტი“ (რომლის სტრატეგიული დანიშნულებაც ნათლად გამოჩნდა სექტემბერში).

1992 წლის ივნისში, ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს ისეთი მომენტიც კი იყო, როდესაც შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობა გადააყენეს იმის გამო, რომ მან ქვეყნის ხელისუფლების მიერ **გაუთვალისწინებელ წარმატებას** მიაღწია – დაიკავა „ზედმეტი“ სტრატეგიული ობიექტი.

1998 წლიდან საქართველოს თავდაცვის უწყებას სათავეში ჩაუდგა ადამიანი, რომელიც, გარდა პიროვნული და პროფესიონალური ღირსებებისა, საომარი მოქმედებების დროს თავად არაერთხელ ყოფილა მებრძოლთათვის პირადი მაგალითის მიმცემი.

დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისა და, განსაკუთრებით აშშ-ის აქტიური მხარდაჭერით, 1993 წლის შემდეგ პირველად შეიქმნა რეალური შესაძლებლობა, საქართველოში შექმნილიყო ნებისმიერი ქვეყნისთვის პოლიტიკური ჩამოყალიბების განმსაზღვრელი – შეიარაღებული ძალები.

– შეიარაღებული ძალების უმთავრესი ფუნქცია არა ომის წარმოებაა, არამედ:

– ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

– ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივი ხედვის საზოგადოების (პიროვნებისძ ჩამოყალიბების უმაღლესი სკოლა;

– შეიარაღებული ძალები არის ქვეყნის იდეოლოგია და სახე – უმნიშვნელოვანესი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, აუცილებელი როგორც ნებისმიერი საზოგადოებრივი წარმონაქმნისთვის, ასევე ცალკეული პიროვნებებისთვის;

და, ამავე დროს არანაკლებ მნიშვნელოვანი – **იყოს პიროვნების აღზრდის სკოლიშემდგომი უმნიშვნელოვანესი ეტაპი**.

ამასთან, ძირითადში სწორედ 1998 წლიდან იწყება ქვეყნის თავდაცვითი უწყების წინააღმდეგ შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების აქტიური ამუშავება. აღნიშნული ქმედების გამოხატულება იყო ვეტერანებისთვის შეღავათების მოხსნა 2002 წელს და ფინანსთა მაშინდელი მინისტრის ***(მირიან გოგიაშვილი ?ძ*** განცხადება, რომ მან განსაზღვრა ქვეყნისადმი გარე საფრთხის შენელების ფაქტორი, და შესაბამისად, 2002 წლის შემოდგომაზე მიმდინარე პროცესების დროს, გადაწყვიტა თავდაცვითი უწყების დაუფინანსებლობის საკითხი.

2000-ანი წლების დასაწყისში მსოფლიოში მიმდინარე დინამიური პოლიტიკური პროცესების ფონზე, რომელთაც რეგიონში სტაბილურობის დამყარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ, საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობოდა როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკური პოლარიზების პროცესებში ვეტერანთა „ჩათრევის“, ასევე, მათი მეშვეობით ქვეყანაში დესტაბილიზაციის ინსპირირებისა თუ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესების ჩაშლის მცდელობები.


**ნუგზარ გოგორიშვილი,**
თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი,
ექსპერტი კონფლიქტების საკითხებში,
კავშირ „სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი განვითარების“ თავმჯდომარე


(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 132.

# დღევანდელობა

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელი ხელისუფლება კარუსელზეა შემომჯდარი და განუწყვეტლივ ტრიალებს. კარუსელების თავბრუდამხვევ ტრიალში წყდება ერის საარსებო საკითხები



მათქმევინეთ!

# ობობას ქსელში

## ერის გენოფონდის გადაშენების საშიშროება და სატელევიზიო შოუს დონეზე დაყვანილი ხელისუფლების არასახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა

***უდავოა, რომ „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოს ყველა მიმართულებით განვითარების უნიკალური შანსი მისცა. ამ პერსპექტივის ფუნდამენტი იყო ახალი პოლიტიკური ძალის მიერ დეკლარირებული კონცეფციები, რომლებიც სრულად შეესაბამებოდა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებს, ეყრდნობოდა არსებული მდგომარეობის რეალურ შეფასებებსა და გათვლებს.***

***სამწუხაროდ, ხალხისა და ხელისუფლების ჰარმონიული შეთანაწყობა ირღვევა და ეს ისე ხდება, რომ სერიოზულ შედეგებს ვერ მივაღწიეთ ქვეყნისთვის საარსებო საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტაში.***

***საქართველოში სერიოზული ოპოზიციური პოლიტიკური ძალის არარსებობამ ხელი შეუწყო ხელისუფლების კომფორტული განწყობილების ჩამოყალიბებას, თვითკმაყოფილებას და ნაბიჯ-ნაბიჯ ვშორდებით მოსახლეობის წინაშე დეკლარირებულ ღირებულებებს, ზოგადსახელმწიფოებრივ ვალდებულებებს.***

კარგად გვახსოვს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრეზიდენტის პირველი ვიზიტი რუსეთში, ჩვეულებრივი ავიარეისით.

ამ დღეებში ყაზახეთს ესტუმრა დელეგაცია ეკონომიკის მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიოდა მრავალრიცხოვანი მხატვრული კოლექტივი, უამრავი „ვარსკვლავი“ სხვადასხვა სფეროდან.

მიზანი ერთადერთი – ყაზახი ფულიანი ბიძების დაინტერესება საქართველოში ინვესტიციების ჩადებით... თუმცა, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ყაზახ ინვესტორებს საქართველოში უკვე შეძენილი აქვთ დიდძალი უძრავი ქონება ბათუმში, თბილისში, ბორჯომში... თუნდაც ყულევის ტერმინალი და „ყაზგაზსტროი“ რად ღირს!

**ვერასგზით გამიმართლებია ასეთი წარმომადგენლობითი ვოიაჟის აუცილებლობა. საქმე რეალურად იქითკენ მიდის, რომ ჩვენს ევროპულ და ამერიკულ ოცნებებს ყაზახეთს და თურქეთს შორის არსებულ სივრცეში მოუწევს ახდენა!**



ზუსტად იმ დროს, როცა ყაზახეთში სუხიშვილების ლეგენდარული ანსამბლის ცეკვებით ტკბებოდნენ, თბილისის მეტროპოლიტენის სადგურებსა და ჰოლანდიურ ავტობუსებთან მისულ მგზავრებს „ნოვაცია“ დაახვედრეს – მგზავრობის ორმაგად გაძვირება. ზემოთ მოყვანილ „პირველხარისხოვან“ სახელმწიფო ვიზიტებს ხომ სჭირდება დაფინანსება?! არაფერს ვამბობ შინ და გარეთ ყოველდღიურ ვოიაჟებზე და მათი დაფინანსების მოცულობაზე.

**ქვეყანაში შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომლის ანალოგი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა – საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ ჯიშსა და ჯილაგს გადაშენება ემუქრება. აშკარაა ამ კატასტროფის ყველა ნიშან-თვისება.**

**დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან აცილებისთვის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება-განხორციელების ნაცვლად, მიზანმიმართულად ვაყალიბებთ ისეთ საკანონმდებლო ბაზას, რომელიც, შეჩერების ნაცვლად, ამ კატასტროფას აჩქარებს!**

ამ საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების არგუმენტად მოჰყავთ არა ადგილობრივი რეალიები, არამედ მსგავსი კანონების არსებობა ამერიკულ-ევროპულ სივრცეში (როგორც ზემოთ გითხარით, ჯერ კიდევ გასააზრებელია, ევროპულ სივრცეში მოგვიწევს არსებობა თუ თურქულენოვანი სახელმწიფოების „დერეფანში“ძ.

ვერ ვაცნობიერებთ, რომ გენოფონდის ცნება და მისდამი მიდგომა არ შეიძლება ერთნაირი იყოს ამერიკისა და საქართველოსთვის.

**ცნობისთვის: აშშ-ში ცხოვრობს 60 მილიონი გერმანელი, 40 მილიონი ირლანდიელი, 35 მილიონი ინგლისელი, 18 მილიონი იტალიელი, 12 მილიონი პოლონელი, 12 მილიონი ფრანგი და ა.შ. (რუსი – 3 მილიონიძ.**

სხვას თუ ვერ გავაგებინებთ, ჩვენთვის ხომ ცხადია ქართული გენოფონდის შენარჩუნების უპირველესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა?

ნაცვლად მდგომარეობის რეალური აღქმისა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელი ხელისუფლება კარუსელზეა შემომჯდარი და განუწყვეტლივ ტრიალებს. კარუსელების თავბრუდამხვევ ტრიალში წყდება ერის საარსებო საკითხები. იქნებ, დროებით გავაჩეროთ ეს კარუსელები, დავჯდეთ კაბინეტებში, ავწონ-დავწონოთ მდგომარეობა და უფრო გააზრებულად ვიმოქმედოთ? იქნებ, სჯობდეს დროებით შევიკავოთ თავი ყველაფრის ყიდვა-გასხვისებისგან? ვინ მოგვდევს? ვინ გვაჩქარებს? მაინცდამაინც ამ საქმეში გვეჩქარება ევროპა-ამერიკის დაწევა და გასწრება?, რაღა იმ დროს ვყიდით ყველაფერს, როცა გაუსაძლისი სოციალური პირობების გამო საზღვარგარეთ გაიფანტა ერის ყველაზე ჯანსაღი ნაწილი, ხოლო აქ მყოფთა უმრავლესობა თავის გასატანად და გადასარჩენად იბრძვის!!!

**ვთქვათ, იყიდეს „სარფიანად“ ყველაფერი არაბმა შეიხებმა თუ სხვა მაგნატებმა, რომლებმაც არ იციან, ფული სად წაიღონ. ჩვენ რა? ჩვენ ვინ ვიქნებით? ჩვენ რა ფუნქცია დაგვეკისრება? ეს არის ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა?**

ცოტა ხნის წინათ მახინჯაურში დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა სამკერვალო საამქრო, სადაც დასაქმდა 150 მკერავი. მათ საშუალოდ 200 ლარს შეპირდნენ, ეს ხელფასი, თურმე, იმდენად დიდად ეჩვენება თურქ მეპატრონეს, რომ იქ დასაქმებულ ქალბატონებს აიძულებს 12-14 საათი იმუშაონ!!!

წარმოვიდგინოთ, უახლოეს მომავალში ჩვენი მთა და ბარის უცხოელი მეპატრონისა და დაბეჩავებული ქართველის ურთიერთობა. თანაც, თუ ეს მეპატრონე ჩინელი, იაპონელი, თურქი თუ ყაზახია და კანონიერების სრული დაცვით არის დაპატრონებული საკუთრებას. ყველა ნორმალური სახელმწიფო მყარად იცავს საკუთარი მოქალაქის ინტერესებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ეს ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა.

ეროვნულ სიმდიდრეს – ტყეს ჩინელ, იაპონელ, ბელგიელ და ა.შ. მოქალაქეებს ვაძლევთ 50-წლიანი „იჯარით“, თითქოს ქართველს არ შეეძლოს სატყეო მეურნეობის მართვა.

15 წელიწადია ქართველ მეტყევეს არავინ ეკითხებოდა, სად უნდა მოეჭრა ხე და სად არა, სანიტარიული ჭრა ჩატარებულიყო თუ ადვილად მისადგომი ტყის აკაფვა. ამ ხნის განმავლობაში ტყეს ანადგურებდნენ გავლენიანი სახელმწიფო მოხელეები და ტყის გადარჩენა პირდაპირ დაკავშირებულია ამ პრობლემასთან.

ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს პროფესიონალი მეტყევეები, ამ სფეროს უნარიანი ორგანიზატორები და მათთვის რომ მიგვეცა საშუალება, ნებისმიერ ჩინელზე, იაპონელზე, ბელგიელზე უკეთ გადაწყვეტდნენ ამ პრობლემას.

**სხვას რომ თავი დავანებოთ, რატომ ვამკვიდრებთ შინ და გარეთ ქართველთა არასრულფასოვნების ცნებას?** ნებისმიერ უმარტივეს, დღესავით ნათელ საკითხზე უცხოელ ექსპერტებს რად ვუხმობთ? ისინიც დიდი ოფლისწურვით „აცხობენ“ დასკვნებს და ჩვენ კი თვალწინ ვუფრიალებთ ერთმანეთს, თითქოს ახალი მათემატიკური აღმოჩენა იყოს. რატომ დავკარგეთ თავმოყვარეობა, რატომ არ ვუფრთხილდებით ერის ღირსებას?

ჩვენ არა ვართ კუვეიტი, ან საუდის არაბეთი, რომლებიც ნავთობის მიწისქვეშა სიმდიდრეებით უდაბნოში წალკოტებს ქმნიან. ჩვენ ღმერთმა გვიბოძა ღვთისმშობლის წილხვედრი წალკოტი, რომელიც არამარტო თვალსა და გულს ახარებს, არამედ მრავალნაირი, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო, ტყის პროდუქტების, ნადირ-ფრინველის, მდინარეებში თევზის და სხვა მრავალი სიკეთის წყაროა.

სამწუხაროდ ამ ღვთის წყალობას არ ვუფრთხილდებით, ელემენტარულ მხარდაჭერას არ გრძნობს მთასა და ბარში მცხოვრები ქართველი, რის გამოც ნარ-ეკალი ფარავს სახნავ ფართობებს, მოუვლელი და გაჩანაგებულია ქართული სოფელი. ამ სიმდიდრის პატრონი ქვეყანა სუბიექტური მიზეზებით ვერ ახერხებს განახევრებული მოსახლეობის ნორმალურ კვებას.

**აბსოლუტურად გაუგებარია მიწათმოქმედების კლასიკურ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მთავარ სტრატეგიად ტურიზმის გამოცხადება.** ითქვა ეს და ოპერატიულად სრულდება. უკვე ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც დაფინანსდება სოფლის მხოლოდ ტურისტული მიმართულების პროექტები (რეკლამებით ცნობილი „პროკრედიტ ბანკის“ მეშვეობითძ.

***აქვე ვიტყვი, „პროკრედიტ ბანკის“ რეკლამებით და სახელმწიფო მოხელეების ოფიციალური განცხადებით დაიმედებულმა ერთმა ახლობელმა მარტვილიდან, რომელიც ერთი დიდი სოფლის მიერ არჩეულია რაიონული საკრებულოს წევრად, აპრილიდან დღემდე ვერ მიაღწია „პროკრედიტ ბანკის“ ზუგდიდის განყოფილებიდან 500 ლარის სესხის მიღებას. იგი სპეციალობით ინჟინერია, მაგრამ სოფლის ოჯახურ მეურნეობას წარმართავს. აქვს 2-სართულიანი სახლი და დამხმარე ნაგებობები, ვენახი, თხილის პლანტაცია, სამარცვლე ფართობი, ჰყავს 2 მეწველი ძროხა თავისი ნამატით, თხა და ღორი, ფრინველი. სესხით უნდოდა დამატებით კიტრის სათბური მოეწყო და ამასთანავე, არ შეფერხებულიყო საგაზაფხულო სამუშაოების წარმართვაში. სესხი, რომელსაც ითხოვდა, შეეძლო რამდენიმე თვეში, თუნდაც ერთი ნამატი დეკეულის გაყიდვით გაესტუმრებინა, იგი აცხადებს: – „სესხი ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ასევე მნიშვნელოვანია სოფლის ნებისმიერი ოჯახისთვის, რადგან გაზაფხულზე თუ დროულად ვერ მოახერხე ხვნა-თესვა, საჭირო მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების შეძენა, მოსავალს ვერ მიიღებ. ამას ბევრი შრომისმოყვარე გლეხიც ვერ აგვარებს და იძულებულია მიატოვოს სახლ-კარი და მაწანწალურ ცხოვრებას შეუდგეს“.***

***წარმოიდგინეთ სოფლის ოჯახი, რომელსაც აქვს სერიოზული ქონება და მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ საჭირო მომენტში საწვავისთვის, მინერალური სასუქისთვის ან სხვა სამეურნეო საჭიროებისთვის მიიღოს 300-400-ლარიანი სესხი საკმაოდ მაღალი პროცენტითაც, რასაც, მაგალითად, „პროკრედიტ ბანკი“ გვთავაზობს დაუსრულებელ ტელერეკლამებში. მაგრამ რეალურად ესეც „ბლეფი“ აღმოჩნდა.***

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია

## ახლა კია სიმშვიდე...

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია სტაბილურია და გასულმა ღამემ მშვიდად ჩაიარა. ამის შესახებ კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის უფროსმა, გენერალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა.**

– რამდენიმე დაძაბული დღის შემდეგ კონფლიქტის ზონაში სიტუაცია შედარებით სტაბილურია. ღამემ მშვიდად და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა, – განაცხადა ყურაშვილმა. მისი თქმით, სიტუაცია მშვიდია ერგნეთის ახლადგახსნილ საგუშაგოზე. სიმშვიდეა, კოკოითის მიერ კონტროლირებად მოსაზღვრე სოფელ კვერნეთის ტერიტორიაზე.

შეგახსენებთ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე ოსურ სოფელ კვერნეთის ანძასთან სამშვიდობოთა ახალი საგუშაგო 8 ივლისს გაიხსნა. საგუშაგოს გახსნის მიზანი ის გახდა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში სოფელი თამარაშენი კოკოითის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, კერძოდ კვერნეთის მხრიდან იცხრილებოდა.

## გლეხები მაინც წმენდენ არხს

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოსი და ქართველი ეროვნების მოსახლეობა, ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმის წინააღმდეგობის მიუხედავად, კოკოითის მიერ კონტროლირებადი სოფელ ტბეთიდან მომავალი სარწყავი არხის წმენდას შეუდგა. ამის შესახებ კონფლიქტის ზონაში მდგარი ქართული ბატალიონის უფროსმა, გენერალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა და აღნიშნულს „უპრეცედენტო ფაქტი“ უწოდა.**

გენერალ ყურაშვილის თქმით, ქართული და ოსური სოფლების მოსახლეობა გუშინ დილით შეთანხმდა, რომ კონფლიქტის ზონის როგორც ოსურ, ისე ქართულ სოფლებზე გამავალ დაბინძურებულ სარწყავ არხს თავად გაწმენდდა. „მოსახლეობის აღნიშნულ ინიციატივას სამშვიდობოთა გაერთიანებულმა შტაბმაც დაუჭირა მხარი, კერძოდ გენერალმა კულახმეტოვმა მოსახლეობას აუწყა, რომ თუ მათ სამშვიდობოთა დახმარება დაჭირდა, ისინი მზად არიან, არხის გამწმენდ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღონ“, – აცხადებს ყურაშვილი და დასძენს, რომ მაშინ, როდესაც შეთანხმებულია ქართული და ოსური სოფლების მოსახლეობა, ხოლო ამ შეთანხმებას სამშვიდობოებიც უჭერენ მხარს, უსაფრთხოების მიღების ზომებზე საუბარიც ზედმეტია.

– მჯერა, რომ არხის გაწმენდის სამუშაოები, ყოველგვარი ექსცესების გარეშე, მშვიდობიანად ჩაივლის, – დასძინა გენერალმა.

ჯი-ეიჩ-ენ

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

**პარადოქსია, მაგრამ სამწუხარო რეალობაა — ქვეყანა, რომელსაც თავში საცემად აქვს საქმე, თავშექცევის (გართობისძ მანიითაა შეპყრობილი**



## მათქმევინეთ!

# ომობანა ქსელში

**(მეხუთე გვერდიდან)**

***მაგალითი რეალობაა — ამას შეეცადა ათასკომლიანი სოფლის რჩეულად აღიარებული პიროვნება, ამის მისაღწევად მარტვილსა და ზუგდიდს შორის მოძრაობაში თითქმის იმდენი დახარჯა, რასაც სესხად ითხოვდა და შედეგი ნულის ტოლი აღმოჩნდა!***

***კომენტარები ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებისთვის მიმინდვია. ძნელია ამ რეალობის აღქმა ნებისმიერი ნორმალური ქვეყნის მოქალაქისთვის, არაფერს ვამბობ ჩემს ნაცნობ, აშშ-ის მეინის შტატის ქალაქ მადავასკას გარეუბანში მცხოვრებ მისტერ პიტერ პლუმბზე, რომელსაც თავის ოჯახურ ფერმაში კარტოფილი მოყავს და ამაყობს მისდამი სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულებით.***

კეთილი, მივაღწიეთ, რომ ამ გაჩანაგებულ სოფლებში „შემოგვესია“ უცხოელი ტურისტები. ამ ტურისტებს ავსტრიული „შინხოფერის“ პროდუქტებით ვუპირებთ გამასპინძლებას თუ იმპორტული გენმოდიფიცირებული პროდუქტებით, რომლითაც გაჯერებულია ქართული ბაზარი და ბლოკირებას უწევს ადგილობრივ მეურნეს?

ავსტრიული პროდუქტი ვახსენე და ბარემ გავაგრძელებ...

ავსტრია ყოველწლიურად 10 მილიონამდე ტურისტს მასპინძლობს. ტერიტორიით პატარა ქვეყანა თავის 8 მილიონ მოსახლეს და 10 მილიონ ტურისტს უზრუნველყოფს კვების პროდუქტებით, ამასთან, მრავალ ქვეყანაში კვების პროდუქტების სერიოზული ექსპორტიორია. ავსტრიას, მიუხედავად ტურიზმის განვითარებისა, ხელი არ აუღია ნამდვილი ეკონომიკის განვითარებისთვის ზრუნვაზე, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობის ქვაკუთხედია. იგი ყოველწლიურად აწარმოებს 5 მილიონ ტონა ფოლადს, 4 მილიონ ტონა თუჯს (საქართველოში იწარმოებოდა 1,5 მილიონი ტონა ფოლადი, 1 მილიონამდე ტონა თუჯი), საექსპორტოდ აწარმოებს მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების მრავალი სახის პროდუქციას, ეწევა ელექტროენერგიის სერიოზულ ექსპორტს...

ნამდვილი ეკონომიკის განვითარებას სჭირდება პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა, მართვის უნარი, ამ კატეგორიის მუშაკთა მოზიდვა და მათი ძალისხმევის სწორი მიმართულებით კონცენტრაცია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ივნისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ეხებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2005 წლის დეკემბერში ჩატარებულ ე.წ. ატესტაციის საქმეს, რომელმაც სასამართლოები მოიარა. საჭიროდ ვთვლი დავამატო ერთი ჩემი მეგობრის, მევენახეობის ცნობილი სპეციალისტის მაშინდელი ნაამბობი: **„სამინისტროში გამოგვიცხადეს, ძველი მუშაკების ატესტაცია უნდა ჩავატაროთო. ერთ დღეს დამიძახეს საატესტაციო კომისიაზე, რომელიც ჩემთვის უცნობი 2 ახალგაზრდისგან შედგებოდა. ერთ-ერთი მათგანი, ვინც გადაწყვიტა ჩემი ცოდნის შეფასება, ცალი თვალით რაღაც ნაწერისკენ იყურებოდა და შემდეგ მაძლევდა შეკითხვებს. რას გამომაპარებდა — „შპარგალკით“ იყო შეიარაღებული. ვენახის მწვანე ოპერაციებზე საუბრისას ვახსენე ვაზის ცის გახსნის ოპერაცია. თურმე ეს არ ეწერა „შპარგალკაში“ და იფიქრა — მაშაყირებსო. ვერაფრით დავარწმუნე, რომ ასეთი ოპერაცია არსებობდა. გაბრაზებულმა განაჩენი გამომიტანა, ატესტაცია „ვერ გაიარე“. როგორც შემდგომ გაირკვა, ჩემს „გამომცდელს“ ინსტიტუტი ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა“...**

ამ „გაუგებრობას“ კომენტარი აღარ სჭირდება.

**სამწუხაროდ, დღემდე კორექტირება არ ემჩნევა მართვის გუნდუროების „ქართულ“ ვარიანტს. რომელიმე დარგის ხელმძღვანელად ნიშნავენ ახალგაზრდა, გამოუცდელ პიროვნებას. ის იწყებს თავისი გუნდის ჩამოყალიბებას, რაც უმეტეს შემთხვევაში მთავრდება იმით, რომ აპარატში ძველი კადრები არ რჩება. უფრო მეტად ეს გუნდი კომპლექტდება ნაცნობ-მეგობრების, ნათესავ-ახლობლების წრიდან და, რაც მთავარია, ნაკლებლირსებიანი პიროვნებებით, რათა ხელმძღვანელი გამორჩეულად წარმოჩინდეს.**

კი ბატონო, თქვენ „ერთი გუნდი ხართ“, მაგრამ ასე შედგენილ გუნდს შეუძლია საქმის წარმართვა, საჭირო შედეგის მიღწევა?

ნამდვილ მუშაობას ცვლის სატელევიზიო „მუშაობის“ ფორმა. ვფიქრობ, ეს ფორმა იმიტომ განვითარდა, რომ ამა ქვეყნის ძლიერნი ამით აფასებენ ჩინოვნიკთა საქმიანობას და არა საქმის რეალური მდგომარეობით. ამიტომაა, რომ ჩინოვნიკთა სატელევიზიო იმპროვიზაციებს საზღვარი არა აქვს.

**შოუს დონეზე დაგვყავს ერის გენოფონდისთვის უდიდესი საშიშროების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაც. ტელეარხებზე ტრიალებს თინეიჯერებით გარშემორტყმული დიდმოხელე, რომელიც ხან ნაკოლკებით გამოხატავს ამ სენის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას, ხან შემოახტება ასფალტის სატკეპნ „კატოკს“ და გადააჯირითებს სახელდახელოდ შეგროვებულ შპრიცებზე...**

**ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავამთავროთ ტელეობიექტივების წინ „მუშაობის“ პრაქტიკა და საქმის რეალურად კეთებას მივყოთ ხელი?**

ქვეყანას ემუქრება ყველაზე სერიოზული უბედურება და ჰორიზონტზეც არ ჩანს სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის კონტურები.

შობადობის შემცირების პირობებში, ორსულთა 66 პროცენტს ანემია აქვს, რაც, ძირითადად, არასრულფასოვანი კვების შედეგია, კატასტროფულად იზრდება ტუბერკულოზის და სხვა ისეთი დაავადებების რიცხვი, რომელიც მძიმე სოციალური პირობებითაა გამოწვეული, ამ პირობების გამოა, რომ მოზარდთა უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა!

მსგავს ვითარებაში ანაქრონიზმად აღიქმება ტელეარხებზე მრავალჯერ დატრიალებული სიუჟეტი — როგორ ეწვია მაღალი რანგის დელეგაცია ზუგდიდს კონტრაცეპტივების გამოყენებაში მეგრელი ქალების კვალიფიკაციის ასამაღლებლად!!!

**აზრი არ აქვს ახალ-ახალი ფაქტებით და მაგალითებით ვამტკიცო, რომ სახელმწიფოებრივი ცნობიერებით ალთას უნდა ვიყოთ და ბალთას კი ვართ. გვჭირდება სერიოზული მკურნალობა, რათა ფატალური შედეგი ავიცილოთ.**

მკურნალობის მეთოდები ხშირად მტკივნეულია, მაგრამ ავადმყოფისთვის სასარგებლო. ჩემი მიზანი და მოვალეობა, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქისა, არის ჩინოსანი თუ უჩინო თანამემამულეების მოდუნებული ყურადღების კონცენტრაცია მთავარი საფრთხის მიმართ, რომელიც უხილავად და ვერაგულად ყოველდღიურად უტევს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას და ფიზიკურ არსებობას.

პირფერობით, მაამებლობით ან მუქარით, რომ ხვალ ვილაცას პასუხი მოეთხოვება დაუშვებელი შეცდომებისთვის, ქვეყანა ვერ გადარჩება! ქვეყანა ვირტუალური სივრცე როდია, ეს ჩვენი ოჯახებია, მას ემუქრება სწორედ გადაშენება და გაქრობა. მომავალი მოქმედებები უნდა გავთვალოთ, არა ერთმანეთთან ანგარიშსწორებაზე, არამედ ეროვნული ენერგიის კონცენტრაციაზე, რადგან დღეს ჩვენი მოძრაობის გზაწვრილი პირდაპირ უფსკრულისკენ მიემართება.

პარადოქსია, მაგრამ სამწუხარო რეალობაა — ქვეყანა, რომელსაც თავში საცემად აქვს საქმე, თავშექცევის (გართობისძ მანიითაა შეპყრობილი.

ჩვენს თაობას, მე ვგულისხმობ დღეს საქართველოში მცხოვრებ ყველა ასაკის ადამიანს, უფლება არ აქვს, გულხელდაკრეფილი იყოს კარს მომდგარი უბედურების მიმართ. ვისგან, რა გზით, რა ფორმით უნდა ავიცილოთ კატასტროფა? ეს რომ ხილული ფრონტის ხაზი იყოს, გაცილებით ადვილი იქნებოდა მასთან გამკლავება, უხილავმა ძალამ უკვეობობას ქსელში გაგვხვია, თავს რეტი დაგვასხა და გაგვაბრუა, ახლა ელოდება როდის გამოგვეცლება საბოლოო ძალა!

**ის დრო დაგვიდგა, გვერდზე გადავდოთ პარტიული ამბიციები და დაუყოვნებლივ გამოვაცხადოთ საერთო-სახალხო მოძრაობა დევიზით: „ქართული გენოფონდის გადარჩენისთვის!“ საჭიროა შეიქმნას ყველაზე სერიოზული და კომპეტენტური სტრუქტურები ამ მოძრაობის კოორდინაციისთვის. ჩვენს პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ სივრცეში არის რეალური ადამიანური რესურსი, რომელსაც ძალუძს სათავეში ჩაუდგეს დღევანდელი თაობის ისტორიული მისიის შესრულებას — საქართველოს ტერიტორიაზე არ გადაშენდეს ქართული გენი, შევინარჩუნოთ ეროვნული სული და ქრისტიანული ცნობიერება.**

**მურად კვაშილავა**

## მხარე

# რა ხდება ლაგოდეხის საბაჟოზე და ვის დაამტვრიეს ცხვირ-პირი მებაჟეებმა?!

**ლაგოდეხის საბაჟო-გამტარ პუნქტზე არსებულ გაწუკითხაობასა და აზერბაიჯანიდან მოზღვავებულ კონტრაბანდაზე კახეთში დღესაც ლეგენდები დადის... თავის დროზე აქ გუბერნატორ პეტრე ცისკარიშვილის ინტერესები არაერთხელ გამოიკვეთა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საწვავის კონტრაბანდაში საკმაოდ გავლენიანი მაღალჩინოსნები არიან ჩართულები.**

რამდენიმე დღის წინათ, საბაჟო „ლაგოდეხის“ უფროსი პაატა ცაგარეიშვილი და მისი მოადგილე ზვიად ქურდაძე გაათავისუფლეს. ქურდაძის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მას გამოძიება თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავება. საქმეს კახეთის სამხარეო პროკურატურა იძიებს.

რამდენიმე დღის წინათ, საბაჟო „ლაგოდეხის“ უფროსის თანამდებობაზე თემურ გაწუგრავა დანიშნეს.

კახელებს კარგად ახსოვთ ის ფაქტიც, როცა კონტრაბანდის მფარველობაში კახეთის ფინანსური პოლიციის მხილების შემდეგ, საბაჟოსთან ახლოს ავტოგასამართ სადგურზე მომუშავე თანამშრომელზე ძლიერი ზემოქმედება განხორციელდა, რის შემდეგ ფრიდონ ბუიძე ნერვიულობის შედეგად მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა...

ცოტა ხნის წინათ, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ლაგოდეხის საბაჟოზე კონტრაბანდული საწვავის შემოდინებამ პიკს მიაღწია, საბაჟოსთან ახლოს მომუშავე ფრიდონ ბუიძემ ჟურნალისტებს სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა. იგი აცხადებდა, რომ საქართველოში აზერბაიჯანიდან საბაჟო „ლაგოდეხის“ გავლით და ფინანსური პოლიციის ლობირებით, სხვადასხვა მაღალჩინოსნებს სარეალიზაციოდ დიდი ოდენობით კონტრაბანდული საწვავი შემოაქვთო.

თვითმხილველები კონტრაბანდის ზრდას ფინანსური პოლიციის წარმომადგენელს როზიზონ პაპაშვილს უკავშირებდნენ. მათი თქმით, მას თავისივე ნათესავი, გენერალური პროკურორი მფარველობს, რის გამოც ლაგოდეხის საბაჟოზე ყველაფერს პაპაშვილი განკარგავს. ქართველი თუ არაქართველი მოსახლეობა, რომელსაც ამ საბაჟოზე საზღვრის გადაკვეთა საკმაოდ ხშირად უწევს, ფინანსური პოლიციის თავნებობასა და საბაჟოზე არსებულ განუკითხაობაზე ხმამაღლა ლაპარაკობს...

სულ მალე ბუიძეს თავად კახეთის ფინანსური პოლიციის წარმომადგენლის როზიზონ პაპაშვილის დავალებით ფინანსური პოლიციიდან ესტუმრნენ და დაემუქრნენ... ბუიძე მეორე დილას გულის შეტევით გარდაიცვალა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჟურნალისტებს თავად როზიზონ პაპაშვილმა აცნობა, რომ ფრიდონ ბუიძეს გული გაუსკდა: „თქვენ რომ ბენზინის გამყიდველი გესაუბრათ, ინერვიულა, გული გაუსკდა და გარდაიცვალა...“ — აღნიშნა პაპაშვილმა ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბრისას, თუმცა მას აღარ დაუკონკრეტებია, თუ რატომ ინერვიულა და ვინ გაალიზიანა ბენზინის გამყიდველი.

საგულისხმოა ისიც, რომ კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსმა ზურაბ აივაზაშვილმა პოლიციის ზემოქმედების შედეგად ბუიძის გარდაცვალება არც უარყო და არც დაადასტურა.

მოგვიანებით, ფინანსური პოლიციის კონტრაბანდასთან უშუალო კავშირი, ბუიძესთან ერთად, რამდენიმე ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელმა თუ თვითმხილველმაც დაადასტურა...

ლაგოდეხის გამგებელს ვასილ გოძიაშვილსაც ინფარქტმა სწორედ ამ ქაოსურ პერიოდში დაართყა, რის გამოც ერთი თვის მანძილზე საავადმყოფოში იმყოფებოდა. კახეთში მითქმა-მოთქმა არ ცხრება იმის თაობაზე, რომ გოძიაშვილს გულმა გუბერნატორთან კონფლიქტის შემდეგ უმტყუნა.

ამ ფაქტმა ხელი იმასაც შეუწყო, რომ ლაგოდეხში უმართავი ვითარება შეიქმნა. საკმაოდ კომიკური ვითარებაა ლაგოდეხის საბაჟო გამტარ პუნქტზე. საბაჟო „ლაგოდეხის“ მებაჟეებმა, ამას წინათ №6 რეგიონული სამმართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები საკუთარ საგუშაგომდე არ მიუშვეს, მაშინ როცა იგივე ადგილი მათ სამოქმედო ტერიტორიასაც წარმოადგენს. მებაჟეებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს ავტომობილის რეგისტრაციაში გატარება კატეგორიულად მოსთხოვეს. ლაგოდეხელი მებაჟეების პრინციპულობა სულ მალე სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა, მოგვიანებით კი ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. შედეგად სასაზღვრო პოლიციისა და საბაჟოს თანამშრომლები სხეულის დაზიანებებით რაიონულ საავადმყოფოში აღმოჩნდნენ...

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

# ჩვენ და ისინი

● ნუთუ მხოლოდ უმუშევართა რაოდენობის ზრდა უნდა იყოს ამ მაღალფარდოვანი ლოზუნგების ლოგიკური შედეგი? ჩვენი აზრით, ქართველ ხალხს არც ამგვარი ხელისუფლება სჭირდება და არც ამნაირი ინვესტორი!



◎ ჟურნალისტური გამოძიება

# სიყვარულისა არ იყოს, ინვესტორობაც ვერტიკალური ყოფილა და თანაც – ბრუნვადი!

**ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ლამის „შერეკილების“ შერეკილი გმირის დონეზე ესმით ცალკეულ ინვესტორებსაც და საქართველოში მათს შემომყვან ჩვენს ზოგიერთ ჩინოვნიკსაც პრივატიზებული ქონების მართვა**

***ერთ-ერთმა ასეთმა ინვესტორმა – სს „ენერგოპროჯორჯიამ“, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღო ექვსი ჰესი (რიონჰესი, ლაჯანურჰესი, გუმათჰესი, აწჰესი, შაორჰესი, ძევრულაჰესი. თუ რატომ საჩუქრად, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთძ, მათი კოლექტივების თითქმის ნახევარი სამუშაოდან გაათავისუფლა, დარჩენილ პერსონალს კი ხელფასები მნიშვნელოვნად შეუმცირა, თუ არ ჩავთვლით სადგურთა უფროსებს, რომლებსაც ჯამაგირი გაუორმაგდათ.***

არადა, მის მიერ შემცირებაში მოყოლილი ენერგეტიკოსები სულაც არ იყვნენ „მკვდარი სულები“ ან, თუნდაც, უფუნქციო მუქთა მჭამელები. და ეს მოხდა მაშინ, როდესაც ამ ეგრეთ წოდებულ ინვესტორს ჯერ კიდევ არ დაუწყია აღნიშნული სადგურების ტექნიკური მოდერნიზაცია თუ სადგურის მართვის კომპიუტერიზაცია, რაც ობიექტურად გამოიწვევდა პერსონალის რაოდენობის შემცირებას. და, რაც მთავარია, ინვესტორმა არაფრად ჩააგდო ის, რომ აღნიშნულ სადგურებს „სემეკმა“ ტარიფები გაუზარდა მათი მუშაკებისთვის სახელფასო ფონდის მნიშვნელოვანი სამომავლო ზრდის ფაქტორის გათვალისწინებით!

ამდენად, სს „ენერგოპროჯორჯია“ საქართველოში საქმიანობას იწყებს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით, რაშიც ბრალი, უპირველეს ყოვლისა, ედება ჩვენს სახელოვან „ვარდებით“ მოსულ ხელისუფლებას.

დიახ, უწინარესად მას, რადგან სწორედ უმაღლესი ხელისუფლების უმაღლეს პირთა ხელშეწყობით მოაწერა ხელი „ენერგოპრომ“ მემორანდუმს, რომელშიც, კერძოდ, წერია: **„მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გააგრძელოს საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციის, პრივატიზაციისა და შემდგომი განვითარების პროცესი, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი დასავლეთის ეკონომიკური საზოგადოების შემადგენელ ნაწილად გახდომისაკენ“... „ენერგოპროს“ მიაჩნია, რომ იგი შეძლებს დასახული მიზნების განხორციელებას, რადგან აქვს მსგავსი სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში დამაჯერებელი შედეგის მიღწევის გამოცდილება“** (სტილი აქაც და სხვაგანაც დაცულია – თ. ჩ; ვ. ლ.ძ.

**ნუთუ მხოლოდ უმუშევართა რაოდენობის ზრდა უნდა იყოს ამ მაღალფარდოვანი ლოზუნგების ლოგიკური შედეგი? ჩვენი აზრით, ქართველ ხალხს არც ამგვარი ხელისუფლება სჭირდება და არც ამნაირი ინვესტორი!**

თუმცა შევეშვათ ამ რიტორიკას და იმით დავინტერესდეთ, როგორ მოხდა, რომ აღნიშნულ მემორანდუმზე ხელმოწერის და საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის განკარგულებათა საფუძველზე სს „ენერგოპროჯორჯიამ“, ფაქტობრივად, უფასოდ მიიღო ჩვენი ქვეყნის ექვსი ჰიდროელექტროსადგური და ორი ენერგოგამანაწილებელ-სადისტრიბუციო კომპანია, ანუ საქართველოს ენერგეტიკის თითქმის ორი მესამედი?

საქმე ასე წარიმართა:

ჩვენმა პრეზიდენტმა „ენერგოპროჯორჯიის“ სასარგებლოდ ხელი მოაწერა განკარგულებას (2007 წ.02.02. №35ძ **„ჰიდროელექტროსადგურების აქტივების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“**, რომლის მიხედვით: **„...ამ განკარგულების დანართ №1-ში მითითებული ჰიდროელექტროსადგურების („ლაჯანური“, „რიონი“, „გუმათი“, „შაორი“, „ძევრულა“ და „აწი“ძ აქტივები პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 73 500 000 დოლარად ან მის ეკვივალენტურ ლარად გადაეცეს სს „ენერგოპროჯორჯიას“ შემდეგი პირობებით:**

**აძ საპრივატიზაციო თანხა გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 1 წლის განმავლობაში;**

**ბძ „საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ განკარგულების დანართ №2-ში ჩამოთვლილი ჰიდროელექტროსადგურების აქტივების საპრივატიზებოდ მომზადება და შესაბამისი განკარგულების პროექტის წარმოდგენა პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლური ფასით (1000 დოლარის ეკვივალენტი ლარიძ“.**

**არადა, აღნიშნული დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ „ენერგოპროჯორჯიამ“ მის ხელთ არსებული მხოლოდ „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საქმიანობით მოიძიოს 73,5 მლნ დოლარი, რათა დაფაროს ხსენებული სავალდებულო გადასახადი.**

**ესეც არ იყოს, რამდენად გამართლებულია ის, რომ აღნიშნული განკარგულებით „ენერგოპროჯორჯიას“ სიმბოლურ ფასად – ათას ამერიკულ დოლარად უნდა მიეცეს ქონება, რომლის რეალური ღირებულება მინიმუმ 10 მილიონი დოლარი მაინც არის?**

ან რამდენად კანონიერია და განა არ აზარალებს ჩვენს ქვეყანას საქართველოს მთავრობის №98 განკარგულება (2007 წ. 22.02. მას ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ზ. ნოღაიდელიძ **„სს „ლაჯანურჰესის“ №2 ჰიდროაგრეგატისა და ქვესადგურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიების გატარების თაობაზე“**, რომლის გამოცემის თარიღი მეტყველებს, რომ, კერძოდ, აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის მფლობელი იყოს სს „ენერგოპროჯორჯია“, და რომელი განკარგულების მიხედვითაც ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 828071 ლარი? **აღნიშნული განკარგულება პირდაპირ მეტყველებს, რომ არამიზნობრივად გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.**

**და ბოლოს: როცა სს „ენერგოპრო ეი-ესმა“, როგორც ტენდერში გამარჯვებულმა, არ ჩათვალა საჭიროდ, რომ იმავე ჰიდროსადგურების და გამანაწილებელი კომპანიების პრივატიზაციის შემდეგ არ შეასრულებინა ტენდერის პირობები და არსებულ ვადებში არ გადაეხადა აუცილებელი საპრივატიზაციო თანხა 327 მლნ დოლარის ოდენობით, რით ხელმძღვანელობდა საქართველოს ხელისუფლება, როდესაც გააბათილა ტენდერის შედეგები და ქვეყნის ინტერესების საზარალოდ „აპატია“, მას ასეთი „დაუდევრობა“?**

**და, რაც უფრო სავალალოა, ხელისუფლებამ, როგორც მოგახსენეთ, დაჯარიმების ნაცვლად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით მას ფაქტობრივად აჩუქა ქვეყნის ენერგეტიკის ნახევარზე მეტი!.**

***ამის შემდეგაც არ იტყვით, პატივცემულო მკითხველო, რომ „შერეკილების“ შერეკილი გმირისა არ იყოს, ინვესტორობაც, სიყვარულის დარად, ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი?***

***ვერაფერი გაიგეთ?***

***ვერც ჩვენ გავიგეთ!***

***ამიტომ, მოდით, ერთად ვიმღეროთ: „თეთრი ტყე, შავი ტყე, ვერაფერი შავიტყვე...“***

***აი, ვინც „შაიტყო“, ის კი არის კარგად და!..***

**თენგიზ ჩხიკვაძე, ვალერი ლისოჩემკო,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

◎ ბაზარი ჩვენი ამაოებისა

**თავიდან, როცა მთავრობაში კახა ბენდუქიძე გამოჩნდა და სახალხოდ ფიცი დადო – საქართველოში ყველაფერს გავყიდი, გარდა სინდისისაო, ყველა ფიქრობდა, რომ მინისტრი სიტყვას არ გადაუხვევდა. თუმცა ვის არ შეაცდენს საბაზრო ეკონომიკის ულმობელი კანონები და ჩვენს ბატონ კახასაც, როგორც ჩანს, მისდაუნებურად, ქვეყნის ქონებასთან ერთად საკუთარი სინდისიც შემოეხარჯა. ჰოდა, ახლა აკრძალული ხილის ჭამაც აღარ ესირცხვილება.**



# იყიდეთ, იყიდეთ, საქართველოს ქონება!

## მოასწარით, ვიდრე ბენდუქიძეს არ გადაუფიქრებია!

თანაც იმდენად დასპეციალდა ამ საქმეში, რომ თანამოაზრეები მარტო მთავრობაში კი არა, პარლამენტშიც გაიჩინა. მართალია, იქ მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ (თვით უმრავლესობაშიც კიძ, მაგრამ მათს აზრს ვინ რა თავში იხლის, როცა სახელმწიფო მინისტრს თანამდგომად და ლობისტად გიგა ბოკერია გამოუჩნდა?

ზოგი შემომედავება – აბა, რას ამბობ, სად რუსეთის ინტერესების დამცველი ბენდუქიძე, და სად კიდევ სტაჟიანი სოროსელი ბოკერიაო! საქმეც ეგ გახლავთ, რომ ხელისუფლებაში ორი უკიდურესი ფრთის წარმომადგენელს ერთი მიზანი აერთიანებს – მოგებაზე სიარული. უფრო ზუსტად, ისეთი პოლიტიკური სვლების კეთება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე გადის.

ერთი ასეთი მორგებული სვლა გახლდათ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის პერსპექტივა, რომელიც კახა ბენდუქიძის გამჭრიახი ჭკუის ნაყოფად მოიაზრება, ხოლო თავის დროზე პროექტის სახით პარლამენტში იგი გიგა ბოკერიას ინიციატივით შევიდა. ღვთის მადლით, აგრარულმა კომიტეტმა პროექტი დაიწუნა და მთავრობა იძულებული გახდა, უკანვე გაეტანა.

თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა, ახლახან პარლამენტში იგივე პროექტი განსახილველად ისევ გამოჩნდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად მას ხელს ქვეყნის პრეზიდენტი აწერდა. როგორც ავი ენები ამბობენ, მიხეილ სააკაშვილისგან დასტური ისე მიიღეს, რომ კანონპროექტი არც წააკითხეს. პარლამენტარები, როგორც ჩანს, ბენდუქიძე – ბოკერიას თაღლითობას მიუხვდნენ და ქვეყნისთვის მოღალატური პროექტი აღარ განიხილეს. თვით პრეზიდენტმაც, რომელმაც ამის თაობაზე თურმე ნოღაიდელისგან შეიტყო, სიტყვიერი ბრძანება გასცა, რომ კანონში ცვლილებები სესიაზე განსახილველად აღარ გაეტანათ.

ასე გადარჩა ქვეყანა (ჯერჯერობით!ძ საქართველოსთვის დამაქცევარი კანონის მიღებას, რომელიც უცხოელებს ჩვენი მიწების შესყიდვისა და მისი მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას ანიჭებდა.

რატომ არის ეს კანონი დამაქცევარიო? – იკითხავს ზოგი, – უცხოელებზე მიწის მიყიდვა ხომ კანონით აქამდისაც შეიძლებოდაო? მაგრამ ის კანონი არ ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწებს, იგი იმ მიზნით მიიღეს, რომ საქართველოში ინვესტორი დაუბრკოლებლად შემოვიდეს და ერთიან საგადასახადო რეჟიმში მოექცეს. სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება კი იმას ნიშნავს, რომ ის ქვეყანამ საბოლოოდ დაკარგოს და ისედაც დეგრადირებული სოფლის მეურნეობა მთლიანად გადააგვაროს. ეს ნიშნავს, დავკარგოთ სოფელი, გლეხკაცობა, ჩვენი ტრადიციული მიწის კულტურა, რომლითაც საუკუნეების მანძილზე ამაყობდა საქართველო და მომავალშიც უნდა იამაყოს.

როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი არ იციან ჩვენი აღვირახსნილი პრივატიზაციის ავტორებმა? რა თქმა უნდა, იციან, მშვენივრად უწყიან, ამას რა შედეგები მოჰყვება ქვეყნისა და მისი ლატაკი ხალხისთვის, მაგრამ საკუთარი ჯიბის ინტერესები მათ სხვაგვარი მოქმედების უფლებას ართმევს. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და რადგან ასეა, მათ ეს მადა სულ უფრო და უფრო უძლიერდებათ.

იხ. 10 გვ.

● „თეთრი ბაირაღები“ მაინც არ წაუკითხავთ? არ იციან, რომ ამ რომანში მთელი საკანი ტიგრანას მიერ გამომძიებლისთვის აწაპნულ სამი თვის წინანდელ „სოფლის ცხოვრებას“ კითხულობდა? მაგრამ ამათ ხომ „თეთრი ბაირაღები“ და მისი ავტორიც „ჩარეცხილები“ ჰგონიათ



◎ რაც უნდა გამოსწორდეს

# თუ უნდა, სწორედ ციხეს უნდა რკინის კარები!

## გვახსოვდეს: პატიმარიც ადამიანია, მისი ჭირისუფალი - მით უმეტეს!!

***ამას წინათ, უფრო ზუსტად, გასულ პარასკევს, ამ ხელისუფლების საამაყო, რუსთავის გზაზე ახალაშენებულ მეექვსე იზოლატორში თუ ციხეში მომიხდა მისვლა. ბავშვობის მეგობრის დედამ დამირეკა, შვილის სანახავად მივდივარო. ის ჩემი მეგობარი, ჩემი ინფორმაციით, იქ სავსებით უდანაშაულოდ იხდის სასჯელს. ფრიად განათლებული კაცი გახლავთ და დედისთვის შემოუთვლია, ჟურნალ-გაზეთებიც შემომიგზავნეთ დროის მოსაკლავადო.***

გავყევი ჩემი ძმაკაცის დედას. სიგარეტები და რამდენიმე ცალი ბანანი წავიღეთ ჟურნალ-გაზეთებთან ერთად. ციხეში ე. წ. „პერედაჩების“ გადამცემთა დიდი რიგი დაგვხვდა. ერთ ჯერზე მხოლოდ ამანათების გადაცემის ხუთ მსურველს უშვებდნენ. ვიფიქრე, აქ სადამომდე შეიძლება ვერ შევაღწიო-მეთქი. მივდექ-მოვდექი და გარეთ გამოსულ ე. წ. კონტროლიორს ვთხოვე, — პრაქტიკულად შესამოწმებელი არაფერი გვაქვს, თანაც ჩემი მეგობრის დედას წნევამ აუწია და იქნებ მეექვსე კაცად შეგვიშვა-მეთქი.

ღვთისნიერი კაცი გამოდგა. ერთი სიტყვით, შევედით. საკმაოდ ვრცელ ოთახში ამანათების მისაღები 5 სარკმლიდან მხოლოდ 2 მუშაობდა. გულწრფელად შემეცოდნენ გარეთ, სიცხე-პაპანაქებაში დარჩენილები, ან მოუწევდათ შემოსვლა ან — არა. რომ ვიკითხე, რატომ ხუთივე მიმღები არ მუშაობს-მეთქი, არ ვიცითო, მიპასუხეს.

არადა, ამანათების შემოწმებას დიდი დრო მიაქვს. ეს მე ვიყავი ხალვათად მისული, თორემ ძირითადად ორ-ორი ჩანთით მაინც იყვნენ პატიმრების ახლობლები. თითოეულ სიგარეტს ღერა-ღერა ამოწმებენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, რამხელა დრო მიაქვს ერთი დიდი ამანათის შემოწმებას. თუმცა რა? ხილის გარდა, ისიც არა ყველა სახეობის ხილისა, პრაქტიკულად არაფრის შეგზავნა არ შეიძლება. მაგალითად, დეზადორის შეგზავნა აკრძალულია, ანუ ამ ციხეში აყროლდითო! შეიძლება შეაგზავნო „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“ ან უბრალო წყალი, მაგრამ არამც და არამც გაყინული. ყინულის გადნობამდე მოგიწევთ ლოდინი.

თუმცა ეს რაა, მთავარი აბსურდი თურმე წინ მელოდა.

### რაო, ძველი გაზეთით შეიძლება მასობრივი გაქცევა მოაწყონ?

**სხვაგვარად ვერაფრით ავხსენი ის ფაქტი, რომ ჩვენი მიტანილი გაზეთებიდან ძველი ნომრები გადაარჩიეს — ამათი შეგზავნა არ შეიძლებაო (?!ძ პირველად მეგონა, რომ მომეყურა. მაინც რატომ არ შეიძლება-მეთქი, ვკითხე. არ ვიცითო, მიპასუხეს.**

— წიგნების შეგზავნა თუ შეიძლება? — რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დავდექი ანერვიულებული.

— კი, ოღონდ ორი ცალისო.

ის უკვე აღარ დამიზუსტებია, წიგნებიც, გაზეთთა მსგავსად, უთუოდ იმ დღეს უნდა ყოფილიყო თუ არა გამოტანილი სტამბიდან.

მოდი, იმას ერთი წუთით თავი დავანებოთ, რომ ნორმალური დემოკრატიული ქვეყნების საპატიმროებში წიგნები და ჟურნალ-გაზეთები კი არა, საკნებში ტელეფონ-ავტომატებიც კი აქვთ. ტელევიზორი ხომ თავისთავად.

მაგრამ მეც ვარ რა! ჩვენი ხელისუფლება თავად არ იწერს სახელმწიფო დაწესებულებისთვის პრესას და ციხეებს ვინ მიაშავებს?

ჩვენ ხომ მხოლოდ გადასახადების ოდენობით ვეჯიბრებით დასავლეთს, სხვა დანარჩენით კი...

იქნებ ვინმემ ამიხსნას, რატომ არ შეიძლება ძველი გაზეთის შეგზავნა?

„თეთრი ბაირაღები“ მაინც არ წაუკითხავთ? არ იციან, რომ ამ რომანში მთელი საკანი ტიგრანას მიერ გამომძიებლისთვის აწაპნულ სამი თვის წინანდელ „სოფლის ცხოვრებას“ კითხულობდა? მაგრამ ამათ ხომ „თეთრი ბაირაღები“ და მისი ავტორიც „ჩარეცხილები“ ჰგონიათ.

### რა კარგი იყავ მაშინ...

**ანუ რა კარგი იყო ჩვენი პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრობისას (და, საერთოდ, გაპრეზიდენტებამდეძ.**

იქ მყოფს გამახსენდა და შენც შეგახსენებ, მკითხველო, როგორ მოულოდნელად დაატყდა იგი თავს მინისტრად დანიშვნის მეორე დღესვე ორთაჭალის ციხეს. უფრო სწორად, ამანათების მიმღებ განყოფილებას.

ეს რა ჰგავსო, რატომ აწვალებთ ხალხს რიგში დგომითო, განრისხდა და ციხის მაშინდელი ხელმძღვანელობა ერთნაირად დაფერთხა. მეორე დღეს და, ალბათ, კიდევ ერთი კვირა, პატიმართა პატრონების რიგები გაქრა, მაგრამ...

გაიარეთ, ვისაც გსურთ, ორთაჭალის ციხესთან, თუ რუსთავი გეშორებათ, და ნახავთ, რომ იგივე მდგომარეობაა. სიცხესა თუ სიცივეში, თოვლსა თუ წვიმაში საათობით დგანან ძირითადად მაინც დედები და ელიან...

და უსაზღვროა მათი ლოდინი...

### უუუ, ტა-ტა-ტა-ტა, მოიდა ზურაბა!

**ამ სათაურით გამოვაქვეყნე წერილი მაშინ, როცა ჩვენი პრეზიდენტი საბაჟო ტერმინალ „ოპიზას“ დაეცა მოულოდნელად. იქნებ ახლაც გაიხსენოს მსგავსი პიარტრიუკი, ახლა ციხეებს შემოუქროლოს და მავანთა თავებიც დააგოროს, ანუ ხალხის მწვალებლები სამსახურებიდან დაიფრინოს? მართალია, ერთ კვირაში ისევ ის სტატუს-კვო აღდგება, მაგრამ იმისი არ იყოს, სულ არაფერს ცალუღელი ხარი ჯობიაო, ერთ კვირას მაინც ხომ ამოისუნთქავს პატიმრის ჭირისუფალიო? თანაც ხელისუფლება „გოიმების“ თვალში არცთუ მცირე „აჩოკებს“ ჩაიწერს საარჩევნოდ! „გოიმების“ მეტი რა არის ქვეყანაში?..**

ერთი სიტყვით, მიდი, პრეზიდენტო, შენს აშენებულ და შენთვის საამაყო ციხეში მაინც მიდი! მიდი და მიდი...

**დავით მხეიძე**

*P. S. ციხეს რად უნდა რკინის კარები... — მღეროდნენ ჩემს ბავშვობაში. მეც, ამ სიმღერის გავლენით, კინაღამ სულ დამავიწყდა ერთი მომენტიც: ამანათი გადავეცით თუ არა, ციხის პერსონალმა შესვენება გამოაცხადა — თუ უნდა, სწორედ ციხეს უნდა რკინის კარები, არც შუშაბანდებია საჭირო და არც მისაღები ოთახებიო — და უკვე შენობაში შესული ხალხი გარეთ გამოყარა თავიანთი „პერედაჩებიანად“.*

*ესეც კიდევ ერთი ცინიზმი! — ხუთივე სარკმელს თუ არ ამუშავებენ, ის ორი მაინც ამუშაონ „უპერერივოდ“! ან ხომ არსებობს შიგნით ე. წ. „ლარიოკი“? პატიმრებისთვის ფულის გადარიცხვაც შეიძლება თურმე, მაგრამ რად გინდა? — სიგარეტის გარდა იქ არაფერი იყიდება. ნუთუ არ შეიძლება, რომ ციხის ადმინისტრაციამ თვითონ შემოიტანოს იქ ხილი თუ ბოსტნეული? ამით ხომ მნიშვნელოვანწილად გამარტივდება პროცესი? ფულს გადაურიცხავ და მორჩა. არც პატიმრის ჭირისუფალს მოუწევს ხშირად შორიდან ჩამოსვლა და არც ციხის ადმინისტრაციას დასჭირდება ამანათების „შმონი“, მაგრამ...*

*ერთი სიტყვით, ფრთხილად ვიყოთ, ვინც ჯერჯერობით გარეთ ვართ, თორემ ჭამას ვინ ჩივის, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ, იმას დაგვავიწყებენ!!!*

***დ. მ.***

◎ არეულ ტალღაზე

# დიდი თემის ნამცვრევები საგულდაგულო განხილვისთვის

### 7. დამტოვეთო ამ ცოდვილ მიწაზე...

**ვიცი.**

**უკვე ჩამაწვეთეს.**

**ნოსტალგიაო.**

**წარსულისკენ ყურებაო.**

**სიახლეების აღუთქმელობასაც მიაგნო ვიღაცამ.**

**ერთხელ ძველი ნათქვამი წამომცდა, რომ კადრები წყვეტენ ყველაფერს.**

წამიერად გაჩნდა ახალი საქირქილო, მაგრამ ნიჰილისტებს უნდა გავუცრუვო იმედი. კადრები უსუსურ არსებებად დარჩებიან მუდამ და ვერაფერს გააკეთებენ, თუ ნამდვილი პროფესიონალები არ არიან.

საქმის მცოდნეები.

ნამუსიანებიც, სხვათა შორის.

საბჭოთა კავშირის არსებობა ჩემი მოგონილი არ არის.

არც ჩემი შესაფასებელი.

ფაქტს ვაფიქსირებ.

იმპერიას არ ჰქონია ურიგო ეკონომიკა.

ტექნიკური შესაძლებლობები.

განსაკუთრებით სამხედრო მიმართულებით.

სწორედ საბჭოური თანამგზავრის გრუხუნმა შესძრა მსოფლიო. დღევანდელი ჩვენი ხელისუფლებისა არ იყოს, მაშინდელსაც არ სძულდა ტრაბახი. შესძრეს დედამიწა ხმაურით.

ბევრს ახსოვს:

გაზეთი გამოდიოდა ასეთი სახელწოდებით: „კომსომოლსკაია პრავდა.“

ვაი ჩემი ბრალი!

რა ვქნა.

იყო.

თანაც რიგიანი გამოცემა. მკითხველი ნამდვილად არ აკლდა.

რედაქციამ კოსმოდრომზე ხანგრძლივი დროით მიავლინა თავისი საუკეთესო თანამშრომელი, საქვეყნოდ ცნობილი კალმოსანი, არაერთი წიგნის ავტორი ვასილი პესკოვი.

ქართველ პროფესიონალებს შორისაც დიდი მოწონებით სარგებლობდა მისი „ნაბიჯები ცვარზე,“ რომელშიც მართლა უკიდეგანო ქვეყანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები იყო აღწერილი.

წლობით ნაგროვები.

ავტორისვე გადაღებული იშვიათი ფოტოებით დასურათებული.

მოგზაურობა, ნანახის ფირზე აღბეჭდვა, დიდოსტატური რეპორტაჟები ვასილი პესკოვის სასიცოცხლო საქმე იყო და უცებ კოსმოდრომზე უკრეს თავი. ერთი-ორი მშვენიერი რეპორტაჟიც “გამოაცხო“ და გაზეთის ფურცლებიდან გაქრა. ნაცვლად სრულიად ახალგაზრდა იური გოლოვანოვი გამოჩნდა და კოსმოსურ თემებსაც პესკოვზე უფრო საქმეში ჩახედული ავტორი გამოუჩნდა. პესკოვის რეპორტაჟებმა კვლავ დაამშვენეს გაზეთის ფურცლები...

რა თქმა უნდა, „თავისი“ თემებით.

გვიან გაცხადდა ყველაფერი. პესკოვს განცხადება დაეწერა, კოსმოსი ჩემი საქმე არ არის, დამტოვეთო ამ ცოდვილ მიწაზე.

ასეთი რამ მაშინ ვაჟკაცობა იყო.

მარტო პარტიულობის გამო არა, თავმოყვარეობისაც.

საქმე უნივერსალიზმს ეხებოდა. არ გამოდგა პესკოვი უნივერსალი. არც აღიარება უკადრისობა. მკითხველის თვალშიც ერთიორად ამაღლდა.

ერთი სიტყვით, პროფესიონალი პროფესიონალად დარჩა. მენეჯერობისთვის თავი არ გამოუდვია.

ღირსებაც შეინარჩუნა.

ახლა უცნაური რამ ხდება. პედაგოგებს, თურმე, პროფესიონალიზმი არ სჭირდებათ.

დირექტორობის მსურველებს — განსაკუთრებით.

მეტიც:

ტუჩ- პირი ვინმეს თუ დირექტორის ყურთან ახლოს შეიძლება ჰქონდეს, სარფიანი ხელფასი გარანტირებული აქვს. ყველაფერი დირექტორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

დირექტორებს კიდევ...

სკოლის ხელმძღვანელებად შეგულებულებს სამოქმედო არეს ლოტოტრონი ურჩევს. ზუსტად ისე, როგორც ბავშვობაში „არადანით“ ვარჩევდით ხოლმე სათამაშოდ სასურველ პარტნიორებს.

ერთი ჭეშმარიტი პროფესიონალი საჯარო სკოლის დირექტორად „გადააგდეს“ და პროფესიული სკოლა კინაღამ უპატრონოდ დასტოვეს.

ეგ კიდევ არაფერი. დირექტორისთვის პასუხისმგებლობასაც თურმე სხვა შინაარსი შეუძენია.

სკოლის ერთ-ერთი თანამშრომელი ხულიგნობისთვის დააკავეს და დირექტორმა ღია ეთერში განაცხადა: ჩვენთან მხოლოდ ოთხი თვის მოსულია, ჩვენ რა შუაში ვართ, მით უმეტეს ჩადენილ დანაშაულს სკოლის საქმეებთან საერთო არაფერი აქვსო.

ღმერთო დამიფარე!

სკოლის თანამშრომლის მიერ ჩადენილ კრიმინალზე დირექტორი თურმე მორალურადაც არ ყოფილა პასუხისმგებელი.

აი, ნაღდი მენეჯერული გაგება!

რამდენიმე უბედური შემთხვევაც მოხდა. მოსწავლემ თანატოლი გამოასალმა წუთისოფელს.

ერთმა.

მეორემ...

არცერთ დირექტორს სკოლიდან წასვლაზე განცხადება არ დაუწერია. იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი.

მენეჯერული თვისებებისა რა მოგახსენოთ და გამოიკვეთა დიდი დეფიციტი.

პასუხისმგებლობის;

თავმოყვარეობის;

ღირსების.

თვალში საცემი, თანაც.

იოლად შესამჩნევი.

სამწუხაროდ, განუკითხავი.

ჯეროვნად შეუფასებელი.

**რობერტ ძერია.**

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

# ლიტერატურა

**ტარიელი ნოვატორი პოეტია, პოეზიის ტრადიციულ მდინარებას კი არ მიჰყვება ლაღად, არამედ აღმა მიცურავს, ქანცგაწყვეტამდე ირჯება... ძნელია აღმა მკლავის მოსმა, მაგრამ, სამაგიეროდ, სიამაყისა და სულიერი ამაღლების მომგვრელია**



## ინფორმაცია

### ახლა პასუხს თავადვე აგებენ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამდებობის პირები სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ განაცხადეს, რომ მოსამართლემ ბრალდებული ძ. კ. საპყრობილეში ერთი თვე და ოცდასამი დღე უკანონოდ ამყოფა. მათივე განმარტებით, პატიმარს მოსამართლემ ასევე უკანონოდ შეუფარდა პოლიციის ზედამხედველობაც.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, რომელიც პატიმრის ინტერესებს იცავდა, მოსამართლის დასჯის გარდა იმ თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემაც მოითხოვა, რომლებიც კანონმდებლობით ვალდებულნი იყვნენ, თავიანთი დროული რეაგირება მოეხდინათ და ძ. კ.-ს უკანონო პატიმრობა აღეკვეთათ.

ძ. კ.-ს ბრალი ედებოდა თაღლითობაში, დოკუმენტების გაყალბებაში, რის გამოც მოსამართლე გ. ფ.-მ 6 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

### პატიმრის სიკვდილი

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილეში პატიმარი ჩიკვილაძე მოკლეს.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები -ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, პატიმარი №5 საპყრობილიდან უკვე გარდაცვლილი პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს და საპირფარეშოში ჩამოკიდეს, ვითომ თავი ჩამოიხრჩო.

ნანა კაკაბაძე განმარტავს, რომ სამკურნალო დაწესებულებებში საპირფარეშოები საკნებში არ არის და პატიმარი იქ ბადრაგის გარეშე ვერ გავიდოდა.

ინტერპრესნიუსი

### დააკავეს სომხეთის მოქალაქეები

სამართველო „წითელი ხიდის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „გუგუთში“, მესაზღვრეებმა საქართველოდან გასვლისას სომხეთის სამი მოქალაქე დააკავეს. ისინი საქართველოში საპასპორტო კონტროლის გავლის გარეშე „ნიჟნი ზარამაგიდან“ შემოვიდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

### შემოპარვას ცდილობდა

ფოთის პორტში, ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავ ბორანზე, საქართველოში შემოსვლისას მესაზღვრეებმა რუსეთის მოქალაქე დააკავეს. მას გარკვეული პერიოდის წინ საზღვარი უკანონოდ ჰქონდა გადაკვეთილი „ნიჟნი ზარამაგის“ გავლით. აღნიშნული პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის-სამართლებრივი დევნა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ძვირფასი სილუეტები

# სიცოცხლის წიგნი მთავრდება, აკლია მხოლოდ წერტილი

**ტარიელ ჭანტურიამ უარი მტკიცა, გამაწბილა, რა დროს საუბარი და საიუბილეო წერილიაო, ვის სჭირდება ეს — ყველაფრისადმი გულგრილ ქართველ საზოგადოებას თუ ცინიკოს, თავხედ ხელისუფლებას, ქართული კულტურა და ქართული სულიერება, ყველაფერი ეროვნული, ფეხებზე რომ ჰკიდიაო?!.**

რა უნდა ვუპასუხო?.. როგორ გინდა „შეაბა“ ამ ხნის მეგობარი საყვარელი პოეტი, როდესაც იგი ცამდე მართალია?!. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში აღარც კარგი ლექსი ენატრება ვინმეს (ხალხი თავის გადარჩენას ნატრობსძ და აღარც ამ ლექსის ავტორის გულანთებული საუბარი საქვეყნო პრობლემებზე! ვაი რომ, საქართველო, ეს „უფლის საგარაკო“ ადგილი, თავის წყალ-ჭალიანად, უკვე გაყიდულია და ახლა ტარიელ ჭანტურიასი კი არა, თვით ილია ჭავჭავაძის უმძაფრესი გამოსვლაც კი ვერაფერს უშველის!..

ვერაფერს!.. და მაინც მომავლის იმედით ვემშვიდობები ჩვენს ტარიელს — სრულიად არაჩვეულებრივ, „უცნოურ“ პიროვნებასა და პოეტს, თავისი დაბადების 75 წლისთავს კაეშნიანი რომ ხვდება.

მაგრამ, ჩემი აზრით, „პოეზიის ქვეყანა“, რაც უნდა ჭირი სჭირდეს, აუცილებელია, თავის მგოსანს მოეფეროს, კალამი დაულოცოს, მეტადრე, ტარიელ ჭანტურიას, ჭეშმარიტად, ქართული ლექსის რეფორმატორს, რომელსაც, ამ ბოლო დროს, პირდაპირ ვიტყვი, ტალახის სროლა არ აკლია ზოგი თანამოკალმისგან, ის კი დიდსულოვნად „ყლაპავს“ მათგან ნატყორცნ „დითირამბებს“.

**შეჩვეული ვარ შექებას;**
**შეჩვეული ვარ ძაგებას;**
**შეჩვეული ვარ მოგებას;**
**შეჩვეული ვარ წაგებას;**
**შეჩვეული ვარ დანგრევას;**
**შეჩვეული ვარ აგებას;**
**გაჩენილი ვარ ტანჯვისთვის —**
**სამტროდ, საცემრად, საკეპად...**
**ვწერ სიხარულებს!**
**ვწერ ტანჯვებს!**
**ვწერ საღამო ხანს! ვწერ დილით!**
**სოცოცხლის წიგნი მთავრდება,**
**აკლია მხოლოდ წერტილი“.**

მით უფრო უნდა მოვეფეროთ!.. მით უფრო, როცა საუბრის ხასიათზე ვერაა...

* * *

ტარიელ ჭანტურიას „სხვანაირი“ ლექსი იმთავითვე გახდა ხელმოცარულ, დაქირავებულ კრიტიკოსთა, ვითომდა, თავის გამორჩენის შესანიშნავი საშუალება (ერთგან ჩვეული სარკაზმით ამბობს პოეტი მათზე: „დაკრიტიკობდა, დახტოდა, „მკრიტიკობელა“ პატარაძ. ცხადია, ძნელი იყო მედროვე კალმოსნების შერიგება იმ სიახლეებთან, რომლებსაც პოეტი გვთავაზობდა, მაგრამ უმრავლესობა (რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნეძ დადებითად აფასებდა, მხარს უჭერდა პოეტის გაბედულ ძიებებს, რამეთუ ეს ყოველივე უახლესი ქართული პოეზიის წინსვლად ესახებოდა.

აი, რა მითხრა ერთხელ ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაზე ცნობილმა კრიტიკოსმა **გოგი გაჩეჩილაძემ**: „ტარიელის პოეზიაზე ორი წერილი მაქვს გამოქვეყნებული — „მდინარების საპირისპიროდ“ და „პოეტი დუელანტი“. ტარიელი ნოვატორი პოეტია, პოეზიის ტრადიციულ მდინარებას კი არ მიჰყვება ლაღად, არამედ აღმა მიცურავს, ქანცგაწყვეტამდე ირჯება... ძნელია აღმა მკლავის მოსმა, მაგრამ, სამაგიეროდ, სიამაყისა და სულიერი ამაღლების მომგვრელია.

**ტარიელს სიტყვა ჰყავს დუელში გამოწვეული, ნიღაბი ჩამოხადა სტანდარტულ გაცვეთილ მნიშვნელობაამოწურულ სიტყვას და მისი პაროდირების გზას დაადგა. მკითხველისთვის, რომლის ყურთასმენა და გემოვნება ჩამოყალიბებული იყო ტრადიციებზე, ეს ყოველივე დამაბნეველია. მის პოეზიას უფრო მეტად ის აფასებს, ვინც გრძნობს ტარიელ ჭანტურიას მიერ მოწოდებული განწყობის, ემოციის კავშირს კრიზისულ დროსთან. ამიტომ, მისი ენაკვიმატობა ენამოსწრებულობის, ანდა გონებამახვილობის ფორმა კი არ არის, არამედ — მსოფლმხედველობის ნიშანი. აი, მთავარი თვისება, რომლითაც იგი გამოირჩევა აღმა მოცურავე პოეტების მცირე რაზმისაგან. მთელი მისი პოეზია იმის ცდაა, ექსპერიმენტია, რომ დაუბრუნოს სიტყვას რეალური მნიშვნელობა, დაანახოს მკითხველს სიტყვის ნამდვილი, უნიღბო სახე. არ უნდა შეაშინოს მკითხველი იმან, რომ ამ ცდას ტარიელის ლექსში მინიჭებული აქვს თამაშის, გართობის, სილაღის ფორმა. ამ ლაღობის უკან ხომ ცხოვრების ულრმესი შრეების და საიდუმლოებების გაშიფვრის უსერიოზულესი წადილი იმალება“.**

დღეს, როდესაც ამ არეულ დროში უმწვავესი პრობლემებით თავგზააბნეულთ პოეზიისათვის თითქოსდა დრო არ უნდა გვრჩებოდეს, მე პირადად მოუთმენლად ველოდები ტარიელ ჭანტურიას ახალი ლექსის გამოჩენას. ველოდები მისგან გამოწვეული მოულოდნელობის ეფექტს, გონებამახვილობის კასკადს, რაღაც არაჩვეულებრივს, ახალ-ახალი მეტაფორებისა და რითმების ძიებასა და მიგნებას. და ეს ყოველივე მართლაც ჯიუტი სწრაფვაა მდინარების საწინააღმდეგოდ. ვინც ტარიელ ჭანტურიას იცნობს, ვინც ამ კაცის ცინცხალი გონების ფასი იცის, აღარც უკვირს მისგან კალაპოტში ვერდატეული ლექსი თუ პუბლიცისტური წერილი, შეჩვეულია მის უზადო ირონიას და იუმორს (ტარიელის ფსევდონიმია „ტია-ტია“, როდესაც რაიმე იუმორისტულს გვთავაზობსძ.

ერთხელ ამ ტია-ტიას გავურითმე, და აი, ასეთი ლექსპრომტი (მისი შექმნილი სიტყვაა — ექსპრომტისაგანძ შევკადრე ძვირფას ტარიელს:

**შენი ლექსი,**
**ტია-ტია,**
**არც ისეთი**
**დიადია,**
**საღარაძე კითხულობდა,**
**შუა გზაზე მიატია...**

ეს ისე — მეგობრობისა და კეთილგანწყობის გამო...

მისი ლექსებიდან უმთავრესად სამშობლო გვიმზერს, მამულის, ერის ისტორია შემოგვყურებს, გმირი წინაპრების ქებათაქება ილვრება... სამშობლო — ალმავალი და დაცემული, დიდი ღამეების და დიდი დღეების გადამტანი.

**დღისით — თმოგვის მეციხოვნე,**
**ღამით — ფანასკერტელი ვარ!**
**ხვალ რომ ქვა ვარ საგორავი,**
**ზეგ — არმაზის კედელი ვარ!**
**ვისმა სისხლმაც წვეთწვეთობით,**
**ის მწვერვალი აათავა:**
**ლომი ცოტნე, ლომი დავით**
**და ბოკვერი — პაატა ვარ!**

სამშობლოს წარსული, დღევანდელობა და მომავალი მისთვის ყველაფერია.

აი, რას ამბობს ერთგან: „ოპტიმალური ვარიანტი ჩემი ცხოვრების — მისთვის სიცოცხლე! ვიმეორებ — მისთვის სიკვდილი!“

ეფერება და ესათუთება პოეტი ცალკე გურიას (თვითონაც ხომ შუმი გურულიაძ და ცალკე სამეგრელოს, ცალკე იმერეთს და ცალკე ქართლ-კახეთს... ასეთი გახელება სამშობლოთი, მე პირადად, ალბათ ლადო ასათიანის ლექსში თუ მიგვრძნია: „დიდება მამულს: ხერთვისს და რუსთავს; რუსთავს და ზადენს; ზადენს და ჭყონდიდს... საქართველოსთვის ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით, და როცა მოვკვდით — ყოველთვის ვცხონდით!“

ჩვენს მიწაზე ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს კი ასე დაუფიქრებია პოეტი:

**„უკან იბრუნა საქართველოს**
**ცხოვრების ჩარხმა...**
**ხელი კალამზე მიჩვეული,**
**აწვალებს ჩახმახს...**
**რა თქვას პოეტმა —**
**რა იმღეროს დაღლილმა**
**ჩანგმა! —**
**რაც აღმა მიედინებოდა —**
**დის ახლა ჩაღმა...“**

* * *

მოდით ახლა, ძვირფასო მკითხველო, ეს წიგნი ვათვალიეროთ — **„თაფლობის საუკუნე“** — გამოცემული 2002 წელს, რომელიც, თავის დროზე გულთბილად მისახსოვრა ტარიელმა და, რომელიც, რამდენიმე ქართველ კლასიკოს პოეტთა კრებულებთან ერთად, ჩემი „კითხვადი“ წიგნია.

დავიწყოთ?

დავიწყოთ.

**„მიდიხარ თოვლში**
**თოვლივით კარგი**
**და კარგი ბიჭის ერთგული**
**ცოლი,**
**და სუსტი მხრებით**
**შენ მიგაქვს ხარკი —**
**ათასი ბიჭის ნასროლი თოვლი.**
**გამახსოვრდება გაშლილი**
**მხრები...**
**გაკრთობს ქუჩაში ნაპოვნი**
**ვნება,**
**მაგრამ ოჯახში იოლად**
**თბები...**
**და სხვისი თოვლიც...**
**იოლად დნება.**

აბა, ერთი, ეს ვნახოთ — ირონიული:

**დაირღვა ძველის-ძველის-**
**ძველი**
**ულამაზესი ჰარმონია:**
**ყოველ მეხუთე მამაკაცში**
**დღეს დედაკაცის ჰორმონია!..**

ახლა ივლისის თვეს — თავის თვეს, როგორ გვიხატავს:

**„ივლისის თვე — შენი თვეა —**
**ლუდის აქაფქაფების დრო!**
**თანაც ცხვირწინ გაუხსნიათ**
**დიდებული კაფე-ბისტრო!**
**ისევ ამირანასთან ხარ! —**
**ერთად ხვდებით დილის**
**სისხამს!**
**— არ ვსვამ! — კი სვამ,**
**— ის იცინის**
**და „აბსოლუტ ვოდკას“**
**გისხამს!..**

აგერ, თავისი უფროსი ძმისა და თანამოკალმის ოთარ მამფორიას შეგონებაც გაულექსავს ტარიელს:

**გადიდებულ ჩვენს**
**სურათებს**
**სანამ მოარგებდნენ**
**ჩარჩოს,**
**ვწეროთ ლექსი,**
**ვფლანგოთ სიტყვა,**
**ნაღვინევზე**
**ვხვრიპოთ ხარჩო!**
**განა მარტო ფული**
**ვხარჯოთ —**
**გულიც ვხარჯოთ,**
**ღვიძლიც ვხარჯოთ**
**და ვინც კარცერს ჩვენსას**
**ასწევს —**
**მათ ავანსად გაუმარჯოთ!..**

აგერ, კარგა ხნის წინანდელი ასეთი სტრიქონები აქვს „უცნოურს“:

**მოზიდა ღმერთმა ჩალა —**
**ხურავს ქვეყანა ჩალით,**
**მეც მატანს ღმერთი ძალას —**
**მეც მამუშავებს ძალით“.**

აბა: ეს ნახეთ:

**ვერ გაიგო მან ქართული!**
**ვერ მიიღო მან ქართული!**
**თუმცა რაა გასაკვირი!**
**კაცს ტვინი აქვს**
**მანქურთული!**

ამ წიგნის ბოლო ორსტრიქონიანი ლექსი ასეთია:

**ვერაფერს გირჩევ, ძმაო,**
**უკეთესს:**
**ადე, ეს წიგნი ცეცხლს**
**შეუკეთე!**

არც მთლად ეგრეა საქმე, ძმაო, ტარიელ! ქართული ლექსის ჭაშნაგირმა ხომ კარგად იცის, ვინ ვინ არის, ვინ როგორ უთევს ღამეს ქართულ სიტყვას.... წლები, უიმედობა, სევდანაღველი ამასაც გათქმევინებს:

**„ვარ იმედის იმედით,**
**გზა თავის გზით წავა,**
**ის მიწამებს ბოლოსაც,**
**ვისაც ახლა ვწამვარ,**
**მაინც, შეკოწიწებას**
**ცხოვრებისა ვლამობ,**
**მაგრამ ხმა არ მასვენებს: —**
**ხომ გითხარი! წამო!..**

და მაინც უიმედობა შორს, ტარიელ-ბატონო, ბრწყინვალე პოეტო და მამულიშვილო!.. გჯეროდეს, მართლაც ის გიწამებს ბოლოსაც, ვისაც ახლა სწამხარ!

ივლისი შენი თვეა...

**ვილენ მარდალეიშვილი**

● ტერორისტული აქტი მოხდა ისეთ ადგილზე, სადაც თვით საბჭოურ დროშიც კი ქართველები იშვიათად ჩადიოდნენ

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ჰუსეინის კვალს დაადგა



**საქართველოში „ვარდების“ რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ სატელევიზიო ჟანრს – ტელედაპატიმრებებს. თავდაპირველად ეს ხდებოდა სპეციალური დანიშნულების რაზმების და საბრძოლო ტექნიკის მონაწილეობით. ადამიანებს აპატიმრებდნენ აეროპორტებში, ეკლესიებსა და თვით... ლოგინებშიც კი. თუმცა, იყო ხანმოკლე პერიოდიც, როცა ეჭვმიტანილებს ადგილზევე ხვრეტდნენ. ყოველივე ეს შეცვალა დაპატიმრებამ პროკურატურაში გამოძახების დროს. მაგრამ ამ შემთხვევაში იკარგებოდა პროპაგანდისტული ეფექტი. საქმეში ჩაერთო შემოქმედებითი აზროვნება. სადღეისოდ მოდაშია ჯგუფური დაპატიმრებები, როცა ადამიანები პირდაპირ სხდომებიდან მიჰყავთ საპყრობილეებში.**

როგორც ყოველივე გენიალური, ეს სცენარიც მარტივია. რომელიღაც თათბირზე გამოიძახებენ სხვადასხვა კალიბრის სახელმწიფო მოხელეებს. შუა თათბირის დროს დარბაზში შეიჭრებიან ფორმიან ძალოვანთა ჯგუფი და ტელეკამერებმომარჯვებული ჟურნალისტები. ამ ჯგუფს ყოველთვის ერთი და იგივე კაცი ხელმძღვანელობს – შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსტიტუციო უშიშროების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სოსო თოფურიძე. იგი ამოიკითხავს უკვე გამზადებულ სიებს და მის წინ დამწკრივებულ მოხელეებს ატყობინებს, რომ უთუოდ გააცნობენ დაკავებულთა უფლებებს. ამის შემდეგ კი თათბირის მონაწილეებს ხელბორკილებს ადებენ.

ამ აქტის ბოლო ფარსია ის, როცა თოფურიძე ტელეკამერის წინ ყველას გასაგონად აცხადებს: „ასეთი ბედი ეწევა ყველას, ვინც გაბედავს და...“ თუ რას გაბედავს ესა თუ ის დაპატიმრებული, ეს უკვე ბრალდებაზეა დამოკიდებული. იქნებ, ეს იყოს სახელმწიფო საკუთრების, ხალხის ფულის და დოვლათის, ან სამართალდამცავ ორგანოთა პატივის და ღირსების ხელყოფა.

ამ სპექტაკლის პრემიერა ორიოდე თვის წინათ გაიმართა თბილისის საქალაქო საკრებულოში. მაშინ დააკავეს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მექრთამეებად შერაცხეს. ყოველივე ამას მოჰყვა „გასტროლები“ ბათუმში, მთავარი როლების შესრულება კი იქ რამდენიმე ადგილობრივ მოხელეს დაეკისრა.

მაგრამ ყველაზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია გასულ კვირას ქუთაისის მუნიციპალური მთავრობის 24 წევრის დაპატიმრებამ ვიცე-მერის ომარ კიკვიძის მეთაურობით. მათ ბრალად ედებათ სახელმწიფო ხაზინიდან 350 ათასი დოლარის ქონების დატაცება. დაპატიმრებულები რიგ-რიგობით გამოჰყავდათ მერიის შენობიდან და პოლიციის მანქანებში სვამდნენ.

საპარლამენტო ოპოზიციამ მეორე დღესვე გაავრცელა სენსაციური ახალი ამბავი. როგორც გაირკვა, ბრალეულ სახელმწიფო მოხელეთაგან ხუთი, თურმე, დაუკავებიათ ჯერ კიდევ სამი დღით ადრე, სანამ გაიმართებოდა ქუთაისის მერიის ისავალგასახსენებელი სხდომა. შემდეგ, ეს ადამიანები გამოუშვიათ, რათა ხელმეორედ დაეპატიმრებინათ – ამჯერად უკვე ტელეკამერების ობიექტივების წინ.

ერთი სიტყვით, კარგა გვარიანი სკანდალი აგორდა. ოპოზიციამ მოითხოვა განემარტათ, თუ რა საჭიროა ეჭვმიტანილთა ასეთი დამცირება და უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა. თვით პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემაც კი განაცხადა, რომ პირადად ეცდება ამ ამბავში გარკვევას.

და აქ, მოულოდნელად ბრძოლაში ჩაება მიხეილ სააკაშვილი. გვიან საღამოს გამოცხადდა იგი მმართველი პარტიის დეპუტატების წინაშე დედაქალაქის საკრებულოში. ოპონენტებს ლანძღვა-გინება დააყარა და აუკრძალა მათ თოფურიძის დაცინვა. „ქურდებს დავიჭერთ და საპყრობილეებში ჩავსვამთ“, – პათოსით განაცხადა სააკაშვილმა.

– უკვე კარგა ხანია ვცდილობ გავიგო, თუ პირადად ვის ეკუთვნის თათბირებზე ხალხის დაპატიმრების იდეა, – თქვა პრეზიდენტობის კანდიდატმა ოპოზიციური „ახალი მემარჯვენეებისგან“ დავით გამყრელიძემ. – გუშინ, სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ, მივხვდი, რომ ეს მისი იდეა ყოფილა. იგი სადამ ჰუსეინს ბაძავს, რომელიც ასეთივე მეთოდებით უსწორებდა ანგარიშს თავის მტრებს.

ИЗВЕСТИЯ

## ინტერნეტ-გამოკითხვა

*საქართველოში მიმდინარეობს სახელმწიფო მოხელეთა მასობრივი დაპატიმრებები, რასაც ტელევიზიითაც აჩვენებენ. რას უნდა მოასწავებდეს ეს?*

10 პროცენტი – ქვეყანაში ნამდვილად მიმდინარეობს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

13 პროცენტი – სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ იგი ჯუღაშვილის იდეური მემკვიდრეა

18 პროცენტი – ეს არის მოსახლეობის გასართობად გამიზნული რეალითი-შოუ. მალე ყველას გაათავისუფლებენ

59 პროცენტი – სააკაშვილს ასეთი გზით სურს თავისი რეიტინგის ამაღლება.

გამოკითხვაში მონაწილეობდა 1986 კაცი.

# ვინ ესროლა აფხაზთა პრემიერს?

**ორშაბათს დილით თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრზე ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელდა თავდასხმა. ეს იყო მესამე თავდასხმა ამ ბოლო 2,5 წლის განმავლობაში. ანქვაბი მსუბუქად დაიჭრა. დაჭრილია ასევე ჯიპის მძღოლი. ავტომობილს გაუხსნეს РПГ-26 ტიპის ყუმბარსატყორცნის ცეცხლი.**

ჯიპი, რომლითაც ალექსანდრე ანქვაბი მგზავრობდა, გუდაუთიდან სოხუმისკენ მიემართებოდა. მანქანას ცეცხლი დაუშინეს დილის 8 საათსა და 30 წუთზე. ისროდნენ მდინარე ლიხნის ხიდის მხრიდან. ჭურვი მანქანას საბარგულში მოხვდა, რომელიც საათში დაახლოებით 100 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა. ანქვაბი ჯერ საავადმყოფოში მიიყვანეს, შემდეგ კი – შინ. უახლოეს დღეებში იგი აპირებს სამუშაოზე გამოსვლას.

აი, რა უთხრა თვით პრემიერმა ჟურნალისტებს: „მივიღე კონტუზია და ნამსხვრევებისგან რამდენიმე ჭრილობა ზურგის არეში. ის ადამიანი, რომელიც ჩემთან ერთად იმყოფებოდა ავტომობილში, სერიოზულად არ დაშავებულა, მანაც კონტუზია მიიღო. როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან ვუშლი ხელს“.

აფხაზთა საგამოძიებო ორგანოები თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას მეთაურობით აწარმოებენ გამოძიებას. უკვე გამოიკვეთა ეჭვმიტანილთა წრე. თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ მას ჯერჯერობით არანაირი ვერსია არა აქვს.

ბაღაფშ-ანქვაბის ტანდემის მხარდამჭერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებს კი მიაჩნიათ, რომ ტერორისტული აქტი განახორციელეს იმ ძალებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან აფხაზურ საზოგადოებაში განხეთქილების შეტანით. ასეთი ფორმულირება, მეტი რომ არ ვთქვათ, ბუნდოვანია...

შესაძლო ვერსიებიდან ექსპერტებს ყველა არარეალურად მიაჩნიათ ამ თავდასხმაში ქართველთა მონაწილეობა. ტერორისტული აქტი მოხდა ისეთ ადგილზე, სადაც თვით საბჭოურ დროშიც კი ქართველები იშვიათად ჩადიოდნენ. ახლა კი, როცა ცენტრალურ აფხაზეთში თითქმის აღარ დარჩა ქართველობა, „დივერსანტებს“ პრაქტიკულად არა აქვთ იმის შანსი, რომ შეუმჩნევლად ჩააღწიონ გუდაუთამდე.

სხვათა შორის, 2005 წელს, როცა ანქვაბი გახდა პრემიერ-მინისტრი, მას ბევრი ადანაშაულებდა „პროქართულ ორიენტაციაში“. საქმე ის არის, რომ ანქვაბმა თითქმის ათი წელი იმუშავა თბილისში. 32 წლის ასაკში კი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და ეს თანამდებობა 1990 წლამდე ეკავა.

სადღეისოდ უმთავრესი ვერსიაა შურისძიება მაფიის მხრიდან. ანქვაბს უკვე დაესხნენ თავს 2005 წლის 28 თებერვალს და 1 აპრილს. ეს დანაშაულობები დღემდე არ გაუხსნიათ. ამ ცოტა ხნის წინათ კი, ახალი ათონის მიდამოებში, ცენტრალურ ტრასაზე იპოვეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. როგორც სოხუმში ამბობენ, დამნაშავეები ცდილობდნენ პრემიერის აფეთქებას.

ანქვაბი ენერგიულად ებრძვის კრიმინალს და ჩრდილოვან ეკონომიკას. ხელისუფლების სათავეში მისვლის შემდეგ მან აკრძალა ხეტყის ექსპორტი და გაზარდა ჯართის ფასები – ამ ორივე ღონისძიებამ მძიმე დარტყმა აგემა კონტრაბანდისტთა ინტერესებს. სამთავრობო სტრუქტურებიდან დაითხოვეს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან დაკავშირებული პირები.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც უფრო თბილისში ემხრობიან. ეს თავდასხმა იყო კლანებს შორის ბრძოლის შედეგი. არ არის დასამალი, ბაღაფშ-ანქვაბის ტანდემსა და აფხაზთა ვიცე-პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას გუნდს შორის არსებობს დაპირისპირება.

დამნაშავეთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში დააწესეს ჯილდო – 500 ათასი რუსული რუბლი.

ИЗВЕСТИЯ

◉ ბაზარი ჩვენი ამაოებისა

# იყიდეთ, იყიდეთ, საქართველოს ქონება!

(მეშვიდე გვერდიდან)

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბენდუქიძე და მისი ამფსონები ცდილობენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების ფორმა შეცვალონ და ეგრეთ წოდებული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები გასაყიდად გაიტანონ. ამ მიზნით, იმ ობიექტებს, რომლებიც პრივატიზებას არ დაექვემდებარება, სტრატეგიული ობიექტის სტატუსი მოეხსნება და ისინი განსაკუთრებული დანიშნულების სახელმწიფო ქონების სახელით მოინათლება. ასეთთა ნუსხა ისე მცირეა, რომ მასში არ შედის საზღვაო აკვატორია, სახელმწიფო რეზერვი და ძვირფასი ლითონების მარაგებიც კი. კანონი მთავრობას უფლებას მისცემს, გაყიდოს ენერგო და წყალმომარაგების სისტემები, სკოლები, საბავშვო ბაღები, რკინიგზა და ასე შემდეგ.

კიდევ რა დარჩა? სასაფლაოები და თურმე მათ გაყიდვასაც აპირებს.

კახა ბენდუქიძის თქმით, სახელმწიფო მოუვლის მხოლოდ იმ ობიექტებს, რომელთა პატრონობასაც ივალდებულებს. მაგალითად, კონტინენტური შელფის პრივატიზება, ასევე, საჰაერო სივრცისა, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება და, ბუნებრივია, არც ჩვენთან გაიყიდება. მაგრამ სახლ-მუზეუმები, უმჯობესია, კერძო მესაკუთრეთა ხელში იყოს, ვიდრე სახელმწიფოსი და მომვლელი არ ჰყავდეს. ასევეა სასაფლაოებიც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი აზრით, ახლაც, ფაქტობრივად, კერძო საკუთრებად ითვლება. ის თუ შეიძლება, რომ სასაფლაო იყოს ეკლესიის გამგებლობასა და საკუთრებაში, რატომ არ შეიძლება სხვა კერძო მფლობელი ჰყავდესო? – გაკვირვებულია პრივატიზაციის ქურუმი. ხედავთ, რა ბედნიერები ვართ? კახა ბენდუქიძე არ აპირებს საჰაერო სივრცის გაყიდვას, ალბათ, იმიტომ, რომ უვარგის ინვესტორთან მოხვედრის პირობებში უჰაერობამ შეიძლება თვითონაც მოახრჩოს (!ქ. დანარჩენს კი, მაგალითად, რკინიგზას, წყალმომარაგებას, საბავშვო ბაღებს და სხვებს იოლად შეელევა. თანაც სახელმწიფო ქონების გასხვისება მხოლოდ აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის წესით განხორციელდება, რაც პრივატიზების პროცესს მაქსიმალურად გაამარტივებს და ქვეყანაში სულ უფრო მეტ ინვესტორს მოიზიდავს.

ასე რომ, შორეულო და მეზობელო ინვესტორებო, აჩქარდით – იყიდეთ, იყიდეთ, რაც შეიძლება მეტი ქონება საქართველოში, ვიდრე კახა ბენდუქიძეს არ გადაუფიქრებია!

**ოთარ ხუციშვილი**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 7-41

29 ივნისი 2007წ.
06.07.07
010.250.050.36.101.010.552

**ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ**

1. „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და $12^2$ მუხლის და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემაზე მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქცია დანართის თანახმად.
2. გადაწყვეტილება ძალაშია „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საკრებულოს თავმჯდომარე  ზაზა ბეგაშვილი**

*დანართი*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის საკრებულოს*
*2007 წლის 29.06*
*№ 7-41 გადაწყვეტილებით*

**ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქცია**

**1.** სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა გულისხმობს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გაზრდას;
**2.** სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით მიიღო სპეციალური (ზონალური) შეთანხმება;
**3.** მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$X = \frac{L}{K^2}(K_2^1 - K_2)\ S$$

სადაც:
ა) **X** არის მოსაკრებლის ოდენობა;
ბ) **L** არის 1კვ.მ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი;
გ) $K_2^1$ არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;
დ) $K_2$ არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;
ე) **S** არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.
**4.** მოსაკრებლის გადახდა არ ხდება, თუ:
ა) ნაკვეთზე სამშენებლო განვითარების დროს ახალი მაჩვენებლები არ აღემატება თავდაპირველ ფაქტობრივ კოეფიციენტებს (კ-1, კ-2) და მიწის ნაკვეთის არსებული გამოყენება არ არის „შეუსაბამო";
ბ) მშენებლობის ნებართვას გაუვიდა ვადა და განხორციელდა ამ წესის შეთანხმებული პროექტის განახლება;
გ) აღნიშნული ინსტრუქცია არ ვრცელდება იმ საკითხებზე (ობიექტზე), რომლებზედაც ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დადებითი დასკვნა არ არის გაცემული ამ ინსტრუქციის ძალაში შესვლამდე.
**5.** მოსაკრებლის ოდენობა, ნამატი, სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს.
**6.** მოსაკრებელი გადაიხდევინება მშენებლობის ნებართვის გაცემისას.
**7.** განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გაზრდისას დაანგარიშება უნდა მოხდეს ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და გაანგარიშების რეგულირების წესების" პირველი მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად.
**8.** მოსაკრებლის გადახდა წარმოებს ბანკის მეშვეობით და იგი მთლიანად ჩაირიცხება ქ. თბილისის ბიუჯეტში, წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე;
**9.** მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ქ. თბილისის მერიის უფლებამოსილ საქალაქო სამსახურს.

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 7-42

29 ივნისი 2007წ.
06.07.07
010.270.000.36.101.010.553

**„ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-28 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-28 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:
ა) გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. გადაწყვეტილება ძალაშია 2007 წლის 1 დეკემბრამდე.";
ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულოში ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილია ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისია (შემდგომში - კომისია).".
2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 1 ივნისიდან.

**საკრებულოს თავმჯდომარე  ზაზა ბეგაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 7-43

29 ივნისი 2007წ.
06.07.07
010.260.010.36.101.010.554

**ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა დამტკიცდეს ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის თანდართული შემადგენლობა.
2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე  ზაზა ბეგაშვილი**

*დანართი*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის საკრებულოს*
*2007 წლის 29 ივნისის*
*№ 7-43 გადაწყვეტილებით*

**ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის შემადგენლობა**

1. გამგებელი
2. გამგებლის მოადგილე (საბინაო-კომუნალურ დარგში)
3. გამგებლის მოადგილე (საფინანსო-ეკონომიკურ დარგში)
4. გამგებლის მოადგილე (სოციალურ საკითხებში)
5. გამგეობის აპარატის უფროსი
6. სამხედრო განყოფილების უფროსი.

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

**● როგორც ბიოლოგები ამტკიცებენ, სწორედ მწარე თუ მომწარო გემომ გადაარჩინა კაცობრიობა ამოწყვეტისაგან, რადგან ის მიუთითებდა ჩვენს წინაპრებს ამა თუ იმ ხილის ან ბოსტნეულ-ბალჩეულის შხამიანობაზე**



◎ ზაფხულის ხვატი

# ფლებოტომუსი სტიქიაშია,

## ანუ ლეიშმანიოზი გვიტევს

**მოვიდა ზაფხული და გაცილებით მეტმა დაავადებამ იჩინა თავი, რამაც უკვე შეაშფოთა მოსახლეობა. ლეიშმანიოზისა და სხვა პარაზიტული დაავადებების ფონზე, სიმშვიდის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს.**

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ბოლო 7-10 წლის განმავლობაში განსაკუთრებით მოიმატა ვისცერული ლეიშმანიოზის შემთხვევებმა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოძ მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში ლეიშმანიოზით დაავადებულია 12-13 მილიონი ადამიანი. არსებობს ლეიშმანიოზის სამი ფორმა: ვისცერული, როცა ზიანდება შინაგანი ორგანოები (ძირითადად სისხლბადი ორგანოებიძ; კანის – როდესაც კანზე წყლულები წარმოიქმნება და კანისა და ლორწოვანი გარსებისა – როდესაც კანის გარდა ზიანდება ცხვირის, პირის ღრუსა და ყელის ლორწოვანი გარსები.

საქართველოში გავრცელებულია ვისცერული ლეიშმანიოზი, დაავადების გადამტანია 2-3 მილიმეტრი სიგრძის ქვიშისფერი რუხი, ორფრთიანი სისხლისმწოველი ფლებოტომუსის გვარის მოსკიტი.

ლეიშმანიოზს ფლებოტომუსები ძირითადად დაავადებული ძაღლების, თაგვების, ვირთხების, მტაცებელი ცხოველებიდან (მელა, ტურა, მაჩვი) ავრცელებენ. ფლებოტომუსები ბინადრობენ ხის ფუღუროებში, შენობის ბზარებში, ხვრელებში, მღრღნელების სოროებში, შინაური ცხოველების სადგომებში, ნაგავში. ისინი კარგად მრავლდებიან აგრეთვე ნესტიან ადგილებში.



არსებული მონაცემებით, ლეიშმანიოზი გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში.

თბილისში ამ მხრივ გამოკვეთილი ადგილებია: სამი რაიონი – ვაკე, მთაწმინდა, კრწანისი ანუ ის უბნები, რომლებიც მთისწინა კალთებს ესაზღვრება. თუმცა მაწანწალა ძაღლები საკმაო რაოდენობით არიან მთელ ქალაქში. ლეიშმანიოზის უკვე 90 შემთხვევაზე მეტი დაფიქსირდა მთელ საქართველოში.

ფლებოტომუსი საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ და ღამით დაფრინავს. დაავადების გადამტანია მხოლოდ მდედრი ფლებოტომუსი, რომელიც დაავადებული ცხოველის სისხლის ამოწოვით ინფიცირდება.

ვირცერული ლეიშმანიოზით დაავადებულ ცხოველს უჩნდება წყლულები თავსა და სხეულზე, ექერცლება კანი, განსაკუთრებით თვალების გარშემო, უვითარდება კონიუნქტივიტი. ახალგაზრდა ცხოველებში დაავადება სწრაფად მიმდინარეობს და ხშირად სიკვდილით მთავრდება. ზრდასრულებში კი დაავადების ნიშნები არ ჩანს, აღინიშნება უსიმპტომო მატარებლობაც.

ფლებოტომუსების ცხოველმოქმედების პიკი ივნის-ივლის-აგვისტოზე მოდის. ისინი, როგორც წესი მზის ჩასვლის შემდეგ, შებინდებისას და ღამით დაფრინავენ. მათი ნაკბენით ძირითადად 4 წლამდე ასაკის ბავშვები და იმუნოდეფიციტის და ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანები ინფიცირდებიან.

**დაავადების სიმპტომებია:** საწყის ეტაპზე ავადმყოფს აწუხებს საერთო სისუსტე ტემპერატურის მომატება, უმადობა, იკლებს წონაში, უვითარდება კახექსია, ავადმყოფი ფერმკრთალდება, თმა კარგავს სიელვარეს და ღრძილები მტვრევადია, გადიდებულია ღვიძლი, ელენთა, ლიმფური კვანძები, ვითარდება ანემია (სისხლნაკლებობაძ, იცვლება სისხლის ფორმულა. მკურნალობის გარეშე დაავადება შეიძლება 6-12 თვეს გაგრძელდეს (ლეიშმანიოზი ზოგჯერ ივნისის თვეშიც აღენიშნება ადამიანს, რაც წინა წელს დაკბენის შედეგიაძ, იშვიათად კი სამ წლამდე. ამ დროს ავადმყოფს აღენიშნება ფოლიკულური ანგინა, ჩირქოვანი და განგრენული ტონზილიტი, ოტიტი, ენტეროკოლიტი, ნევროასთია, სისხლდენა ცხვირიდან და ღრძილებიდან, იშვიათად შინაგანი სისხლდენა.

დაავადება თავიდან, მწვავედ არ ვლინდება და თანდათან „ღრღნის ორგანიზმს, რის გამოც ხშირად დაიგნოზის დასმა გვიანდება. სათანადო მკურნალობის გარეშე და უყურადღებობის შემთხვევაში სავალალოდ მთავრდება.

**როგორ დავიცვათ თავი ლეიშმანიოზისგან:**

დაავადების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ინფექციის წყაროს კონტროლი, რაც გულისხმობს ინფიცირებული ცხოველების გამოვლენას, მოხეტიალე ძაღლების პოპულაციის რეგულირებას, ნაგავსაყრელების გაუქმებას ან საგანგებო შეწამვლა-დამუშავებას (დეზინფექციას), საკუთრებაში მყოფი ძაღლების შემოწმებას ლეიშმანიოზზე და საჭიროების შემთხვევაში მათ მკურნალობას და იზოლაციას.

შებინდებისას მოვერიდოთ მცირეწლოვანი ბავშვების ქუჩაში, სკვერებსა და ბაღებში გაყვანას. თუ საღამოხანს ჰაერზე ბავშვის გაყვანა აუცილებელია, ჩააცვით გრძელსახელოებიანი ტანსაცმელი, დაუფარეთ შიშველი ადგილები. მოსკიტებს სინათლე იზიდავს, ამიტომ ფანჯრებს წმინდად ნაქსოვი ბადეები ააფარეთ.

აუცილებელია, რომ მშობლებმა საეჭვო სიმპტომების შემჩნევისთანავე ბავშვი პირდაპირ ექიმ პარაზიტოლოგთან მიიყვანონ. სხვა პროფილის ექიმმა კი, ვისთანაც შეიძლება ასეთი ავადმყოფები მოხვდნენ, ისინი დაუყოვნებლივ სპეციალისტთან უნდა გაგზავნონ, რომ ამასწინანდელი სავალალო შემთხვევა არ გამეორდეს – გოგონა ლეიშმანიოზით იყო ავად, არასპეციალისტის მიერ შეცდომით დასმული დიაგნოზის გამო, ბავშვის მდგომარეობა გართულდა და სპეციალისტებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

**ბელა ლომთაძე**

◎ იცოდით?

# კოცნა — მკურნალი?

**ხანგრძლივი და ვნებიანი, თანაც რეგულარული კოცნა სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის და სამკურნალო ეფექტიც აქვს, – ამას ამტკიცებენ ვენის უნივერსიტეტის მკვლევარები ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად.**

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კოცნა დაბლა წევს არა მხოლოდ სისხლის წნევას, არამედ ქოლესტერინის რაოდენობასაც, რაც თავის მხრივ ამცირებს ინფარქტის რისკს. ამას გარდა, კოცნა ამაგრებს საიმუნიტეტო სისტემას, ყოველი კოცნის შემდეგ გამოთავისუფლდება ბაქტერიების დიდი რაოდენობა, ნერწყვში რომ უხვადაა და ერთი პარტნიორიდან მეორეს გადაეცემა. ეს ბაქტერიები თავის მხრივ, საიმუნიტეტო ვარჯიშისას ხელს უწყობს ანტისხეულების წარმოქმნას.

კოცნას ფიზიკური სარგებელი იმითაც მოაქვს, რომ ავარჯიშებს სახის სხვადასხვა ზონას. დამტკიცდა, რომ კოცნის დროს ამოქმედდება სახის 25 კუნთი, რომელთა შეკუმშვა სასარგებლოა არა მხოლოდ სახისთვის, არამედ მთელი სხეულისთვისაც.



**დიახ, ლაპარაკია მწარე და არა მწვავე, ცხარე, წიწაკით შეკმაზულ საჭმელზე. როგორც ბიოლოგები ამტკიცებენ, სწორედ მწარე თუ მომწარო გემომ გადაარჩინა კაცობრიობა ამოწყვეტისაგან, რადგან ის მიუთითებდა ჩვენს წინაპრებს ამა თუ იმ ხილის ან ბოსტნეულ-ბალჩეულის შხამიანობაზე.**

ისე რომ, შორეულ წარსულშიც კი ადამიანი ოცნებობდა „ტკბილ ცხოვრებაზე", თავისი „მენიუდან" თანდათან აძევებდა მწარე საჭმელებს და უპირატესობას ანიჭებდა მოტკბო თუ უტკბო საკვებს, ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა შაქრის გამოგონების შემდეგ, ახლა „ტკბილი, თეთრი სიკვდილი" რომ შეარქვეს.

# ჯერ მწარე ჭამე... ტანინიანი ღვინოც დააყოლე!

ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში სპეციალისტების შეხედულება მწარე საჭმელზე მნიშვნელოვნად შეიცვალა, აღმოჩნდა, რომ ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, ერთობ მომწარო გემოთი, მრავალი დაავადების მათ შორის კიბოს საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი დამცავი თვისება აქვს. თუმცა, ბედის ირონიით, სურსათის მწარმოებლები ძალღონეს არ იშურებდნენ, რათა ჩვენი სუფრიდან გამქრალიყო მომწარო საჭმელი.

როგორც ახლა სპეციალისტები ამბობენ, ხილის, ბოსტნეულისა და კენკროვანთა გადამუშავებისას მათ აცლიან ყველაზე სასარგებლო მომწარო ნივთიერებებს, რისთვისაც მათ ფილტრებში ატარებენ. არც თუ დიდი ხნის წინათ, თუ საკვებში რამე მომწარო ერია, მას ტოქსინებად მიიჩნევდნენ, მაგალითად, გლუკოზინალიტებს, უხვად რომაა თავ კომბოსტოშიც, ყვავილოვანშიც, ბრიუსელურშიც, აგრეთვე ბოლოკში, თალგამში, ისპანახში და სხვა ფოთლოვან ბოსტნეულში. ახლა გამოირკვა, რომ ამ ნივთიერებებს ძალუძთ მძლავრი კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება და რომ კომბოსტოს მოყვარულები გაცილებით ნაკლებად ავადდებიან მკერდის, ფილტვების, მსხვილი და სწორი ნაწლავების, კუჭის, შარდის ბუშტის კიბოთი და პროსტატით.

და კიდევ, ხილისა და კენკროვანთა წვენებს რომ ამზადებენ, მწარმოებლები მათ აშორებენ უძვირფასეს ფლავონოიდებს, ტანინებს და სხვა ფენოლურ ნივთიერებებს, რადგან მათ მწკლარტე გემო აქვთ.



როგორც ამბობენ, ფლავონიდებს ამჟამად ძალზე აქტიურად შეისწავლიან. თავისი ანტიოქსიდანტური აქტივობით (დაბერების პროცესისა და ბევრი დაავადების წარმოქმნის შეჩერების უნარით) ისინი 20-30-ჯერ სჯობიან E და C ვიტამინებს, ეწინააღმდეგებიან კიბოს განვითარებას, სისხლ-ძარღვებს იცავენ ათეროსკლეროზისგან, აქვთ ანთებისა და ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედების უნარი.

რამდენჯერ გაგვიგონია, პურმარილი გადასარევი იყო, მაგრამ ღვინო ძალზე ტანინიანი ჰქონდათო. თურმე ნუ იტყვით და, ცნობილ ინგლისელ კარდიოლოგს, პროფესორ როჯერ კორედერს თუ დავუჯერებთ, ის კი ავტორია სადღეისო პოპულარული ღვინოს დიეტისა, სწორედ ამ ტანინებს – პროციანიდინებს – ჰქონიათ განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუმცა, ისინი მწკლარტე გემოს აძლევენ შავ ღვინოს, შოკოლადს, მოცხარს, სამაგიეროდ გვიცავენ გულისა და სისხლ-ძარღვთა დაავადებებისგან, შაქრის დიაბეტისგან და, შესაძლოა, კიბოსგანაც.

ეს ინგლისელი კარდიოლოგი გვირჩევს ყოველდღიურად დავლიოთ ნახევარი ბოთლი (ნახევარი ლიტრიძ შავი ღვინო – მამაკაცებმა და 250 მლგრ. – ქალებმა, აგრეთვე ვჭამოთ 25 გრამი შავი შოკოლადი (80 პროცენტ კაკაოს რომ შეიცავსძ.

პროფესორი როჯერ კორრედერი სინანულს გამოთქვამს, რომ მეღვინეები, ვითომდა მომხმარებელთა გულის მოსაგებად, ღვინოს აცლიან მწკლარტე ტანინებს.

ჩვენ არ ვიცით, იცნობს თუ არა ინგლისელი კარდიოლოგი ქართულ ღვინოებს, თუმცა მისი თქმით, მან მრავალი ღვინო გამოიკვლია და რეკომენდაციას უწევს ძველებური რეცეპტით დამზადებულ ღვინოებს (იქნებ ჩვენებურ ქვევრის ღვინოსაცძ, განსაკუთრებით, ზოგიერთ ფრანგულს, იტალიურსა და ესპანურს. თანაც გვირჩევს, ახალი მწკლარტე ღვინის (ალბათ, მაჭარისძ დალევას, რადგან დაძველებისას ტანინები იშლებაო.

უამრავი სასარგებლო ფლავონოიდებია, თურმე, ჩაიში, ციტრუსებსა და მწკლარტე კენკროვანებში. ამიტომაც გვირჩევენ გრეიფრუტის, ფორთოხლისა და მანდარინის „ცოცხლად" ჭამას. მათ წვენებში, რადგან აცლიანო, ფლავონოიდები ცოტააო.

რუსი პროფესორი იაკობ იაშინი ჩაის სმასაც „გვასწავლის". გვირჩევს, მწვანე ჩაის მიეძალეთო, რადგან მასში ანტიოქსიდიტური აქტივობა 3-5-ჯერ მეტია, ვიდრე შავ ჩაიშიო. თანაც ჩაის მაქსიმალურად აქტიურია მოდულებიდან 20 წუთის შემდეგ. და მაშინ დალიეთო. და კიდევ, ჩაის სიმწკლარტეს ნუ მოსპობთ 3-5 კოვზი შაქრის დამატებითო, რადგან შაქარი სპობს უფრო ნაზ გემოს.

სწავლულები იმასაც გვირჩევენ, თანდათან მიეჩვიეთ მწკლარტე გემოსო, რადგან ის ადამიანები, მწკლარტე, მომწარო პროდუქტებს რომ არ უფრთხიან, ნაკლებად იტანჯებიან სიმსუქნით, გულის სნეულებებით, დიაბეტითა და კიბოს სხვადასხვა სახეობებით. გვარწმუნებენ, რომ ეს მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია!

უცხოური პრესის მიხედვით, მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა**

**P. S. და მაინც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ უნდა მოერიდოთ დამჟავებულ რძეს, დამძაღებულ კარაქს და ზეთს, აგრეთვე სხვა ცხიმიან პროდუქტებს, დამპალ ხილს, მწარე კიტრს, ლიმონის, ვაშლის, მსხლის, ბალის, ჭერმისა და ქლიავის კურკებს, რადგან ისინი უკავშირდებიან მავნე ნივთიერებებს.**

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

# სპორტი

● ჩვენმა ბიჭებმა მართლაც სასწაული მოახდინეს, თურქეთში გუნდურ პირველობასა და ოქროს ალებას დიდი ვაჟკაცობა სჭირდება

**მოვლენის შემდეგ**

# არც ერთი იყო ტრაპიზონელი და არც მეორე — როსტოველი

**უკვე გაუწყეთ, რომ თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში პირველად გაიმართა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ახალგაზრდა სპორტსმენთა თამაშები, სადაც საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ათი წონითი კატეგორიიდან ცხრაში მედლები მოიპოვეს.**

**გვესაუბრება საქართველოს ჭაბუკ „კლასიკოსთა“ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი.**



— ჩვენმა ბიჭებმა მართლაც სასწაული მოახდინეს, — მითხრა ვაჟა კრავეიშვილმა — თურქეთში გუნდურ პირველობასა და ოქროს ალებას დიდი ვაჟკაცობა სჭირდება. მხოლოდ გულშემატკივართა მოჭარბებულ ემოციურობასა და მასპინძლებისადმი მსაჯთა სიმპათიებს როდი ვგულისხმობ. თავად განსაჯეთ — თამაშების თავიანთი ჩემპიონები თურქებმა 10 ათასი დოლარით დააჯილდოვეს, ამიტომაც გასაგებია სპორტსმენთა და მწვრთნელთა თავგადაკლული აქტიურობა.

ტრაპიზონში არბიტრების შედარებით კარგი მსაჯობაც აღსანიშნავია, თუმცა მიკერძოებაც არ ყოფილა გამონაკლისი. მაგალითად, 63 კილოში პაატა ბაკურიძისა და აზერბაიჯანელი სპორტსმენის ფინალური პაექრობისას შუამავალი თურქი მსაჯი ყოველმხრივ ცდილობდა, ჩვენს მეზობელს დახმარებოდა. პაატა 5:0-ს იგებდა, როცა მესამე გაფრთხილებით მისი შეჯიბრებიდან მოხსნა უნდოდათ, მაგრამ საქმეში ჩაერია ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი დავით გოგეჯიშვილი, ასევე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, მისი მოადგილე გია გალდავა და მალევე სიმართლემ იზეიმა — ბაკურიძემ ჩემპიონობა მოიპოვა.

გამაკვირვა სენაკელმა გიორგი დავითაიამ, რომელიც მონაწილეთა შორის ყველაზე უმცროსი იყო. მას ოქტომბერში უსრულდება 15 წელი. შეჯიბრებაზე ექიმისა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის წერილობითი დასტურით დაუშვეს. მან კი გულშემატკივრებიცა და სპეციალისტებიც გააოცა — ისეთ ბიჭებს მოუგო, წვერ-ულვაშს რომ იპარსავენ. ღირსეულადაც ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

თურქეთში ყველა უძლიერესი არ წაგვიყვანია, რადგან ნაკრების ზოგიერთი პირველი ნომერი ეროვნულ გამოცდებს აბარებს. ასე, მაგალითად, 85 კილოში ოზურგეთელ საქართველოს ჩემპიონ შალვა თოდრაძის ნაცვლად ბექა ჩოპლიანს ვანდეთ ადგილი და მანაც იმედები გაამართლა —„ბრინჯაო“ დაიმსახურა. ოდნავი გამოცდილება რომ ჰქონოდა, უკეთესი შედეგისთვისაც შეეძლო მიეღწია. ნახევარფინალში მან ჰაერში აიტაცა რუსეთელი ისლამ მაგომედოვი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, ასე მგონია, მოგების შეეშინდა. დათმო ის შეხვედრა. მაგომედოვი კი პირველ ადგილზე გავიდა.



თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინეს ზურაბ დათუნაშვილმა და ვასილ იმერლიშვილმა. სამაგიეროდ, „ოქროებიც“ ხვდათ. ხულოელმა ქემალ ხარაბაძემ მხოლოდ ფინალი წააგო თურქეთის ნაკრების წევრ მურატ ბატმაზთან, რომელიც წარმოშობით ქართველია.

76 კილოგრამი წონით კატეგორიის დასკვნით ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ტრაპიზონელი ასლან ათემი და როსტოველი დანიელ შენგელია. არადა, ორივე ჩვენი თანამემამულე გახლდათ — ბედის უკუღმართობით ერთი თურქეთში დაბადებული, მეორე კი სოხუმიდან ოტებული. ქართული დუელი ათემის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც მანამდე გიორგი ღვინიაშვილს სძლია.

სხვათა შორის, თურქეთის ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელიართვინელია, ჩვენებური, და გუნდში ქართული წარმოშობის 5 მოჭიდავე ჰყავს.

**— ივლისის მიწურულს ევროპის პირველობა გელით. იმ შეჯიბრებისთვის რას აპირებთ?**

— შავი ზღვის თამაშებზე ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, თუმცა იქაური წარმატება ზოგიერთს ნაკრებში ადგილს ვერ შეუნარჩუნებს, რადგან პირველ ნომრებად უფრო გამოცდილი და ძლიერი სპორტსმენები გვყავს. თბილისში საწვრთნელ შეკრებას გავივლით. ყველა კანდიდატს კიდევ ერთხელ შევამოწმებთ და მერე დავაკომპლექტებთ გუნდს, რომელიც 26 ივლისს ვარშავაში ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე გაემგზავრება. ვეცდებით, პოლონეთის დედაქალაქშიც ვისახელოთ თავი.

*ესაუბრა*

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: გუნდური პირველობისთვის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვაჟა კრავეიშვილსაც უხმეს; კლასიკოსთა ნაკრები მწვრთნელებთან ერთად.**

**ორბიტაზე**

## ხელი რომ არ მოითბონ!

**როგორც იტარ-ტასი იტყობინება, რუსეთის პრეზიდენტმა ტვერის ოლქის ზავიდოვოში განაცხადა, რომ აამოქმედებს გენერალურ პროკურატურას, რათა არ დაუშვან სახელმწიფო ხარჯების დატაცება სოჭის ოლიმპიადის მზადების დროს.**

პრეზიდენტის თქმით, უნდა შეიქმნას შესაბამისი მუშაჯგუფი, უსაფრთხოების დასაცავად ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის პროექტების განხორციელებისას, რათა ფული იხარჯებოდეს რაციონალურად და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან სახელმწიფო სახსრების დატაცება.

## სუმოისტები ჟურნალს უჩივიან

**იოკოძუნა ასოშორიუმ და სუმოს სხვა წამყვანმა მოჭიდავეებმა ტოკიოს პროკურატურაში შეიტანეს საჩივარი ჟურნალის Shukan Gencla წინააღმდეგ. როგორც საჩივარშია ნათქვამი, წლის დასაწყისიდან ჟურნალმა გამოაქვეყნა მასალათა სერია, თითქოს ამ სახელგანთქმულმა მონღოლმა სუმოისტმა მოისყიდა რამდენიმე მეტოქე და ნოემბრის ტურნირი ფანტასტიკური ანგარიშით — 15:0 მოიგო.**



სუმოს ასოციაციამ გამოიძია და ვერ გამოავლინა რაიმე დარღვევა. რისთვისაც იაპონიაში ერთ-ერთ უმსხვილეს ჟურნალს ცილისწამებისთვის უჩივლა. თუმცა ჟურნალი თავის აზრზე რჩება, რადგან თითქოს მისი მასალები ეყრდნობოდა სანდო წყაროებს.

## ვინ მოიგებს ჯეკ-პოტს?

**მხოლოდ ოთხი სპორტსმენი აგრძელებს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „ჯეკ-პოტისთვის“ (მილიონი დოლარი) ბრძოლას — ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა, მორბენალები სანია რიჩარდსი (400 მძ, მიშელ პერი (100 მეტრი თარჯრბენი), აგრეთვე, შუბის მტყორცნელი ტერო პიტკამიაკი.**

პარიზში გამართულ „ოქროს ლიგის“ შეჯიბრებაზე ელენამ ერთხელ კიდევ გაიმარჯვა და 4,91-მეტრიან სიმაღლეზე გადახტა.





**რეტრო**

# ასე მოიხიბლა სპასკი

**გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში სოხუმის ქალაქის საბჭოს კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსად ვმუშაობდი.სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა სახელოვანი მოჭადრაკის, მსოფლიო ჩემპიონ ბორის სპასკის სტუმრობა აფხაზეთსა და სამეგრელოში. საქართველოს ისტორიის შესანიშნავი ცოდნით მან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. განსაკუთრებული სითბოთი ზუგდიდელთა მდიდარ. საჭადრაკო ტრადიციებს გაუსვა ხაზი და დასძინა — მგონი, ანდრია დადიანი ჩემზე უარესად არ თამაშობდა ჭადრაკსო.**



საპატიო სტუმარმა სოხუმის ქალაქკომის თავკაცთა (გობრონ ჯოხთაბერიძე, რაულ ჯობავაძ თანხლებით დიდი ინტერესით დაათვალიერა ენგურჰესი, დადიანების სახლ-მუზეუმი, ეწვია ნონა გაფრინდაშვილის ოჯახსაც, სადაც ძალიან ნასიამოვნები დარჩა მისი ძმის — ჯემალის გაცნობით, ხოლო შემდეგ ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ოცდაათამდე დაფაზე. მახსოვს, ყაიმს მხოლოდ მურმან დემურიამ და რაულ ჯობავამ მიაღწიეს, მე კი ეშმაკობაში გამომიჭირა და ტაქტიანად მომმართა — იქნებ სუფთა ჰაერზე გაისეირნოთო. ბუნებრივია, ყველაფერი ბანკეტით დაგვირგვინდა, რომელსაც განუმეორებელი თამადა მირიან ნარმანია უძღვებოდა. სპასკი აღფრთოვანდა მეგრული სტუმართმოყვარეობით და ალალად აღიარა — მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვს, მაგრამ ასეთი მასპინძლობა არავის გამოუჩენიაო. მას არც ძვირფასი საჩუქარი გამორჩენია მხედველობიდან და დაგვპირდა თეთრი მეგრული ნაბადი ჩემს ოჯახში მარადიულ რელიკვიად დარჩებაო.

აფხაზეთში დაბრუნებულ მსოფლიო ჩემპიონს სოხუმის საზოგადოებრიობამ დაუვიწყარი შეხვედრა ეშერის სპორტულ ბაზაზე მოუწყო. მის დაწყებამდე ბრძენთა თამაშის დიდოსტატს ბილიარდის სამი პარტიიდან ორი მოვუგე, რითაც დარბაზში შეკრებილებთან წავიტრაბახე. რადგან დეტალები არ დამიკონკრეტებია, აუდიტორიამ იფიქრა, თითქოს ჭადრაკში დამემარცხებინოს მსოფლიოს ჩემპიონი და სიცილ-ხარხარი ატყდა. ტრიბუნიდან კინაღამ ჩამომაგდეს, რადგან დამსწრეთა უმრავლესობას კარგად მოეხსენებოდა ჩემი საჭადრაკო განსწავლულობა. მდგომარეობიდან თვით ბატონმა ბორისმა გამომიყვანა — წამოდგა და სიცილნარევი ხმით განაცხადა — აბსანძე სწორია, მან ნამდვილად მომიგო ორი პარტია, ოღონდ არა ჭადრაკში, არამედ ბილიარდშიო. ასე დასრულდა აღნიშნული ვიზიტი.

დავძენ, რომ აფხაზეთის ხშირი სტუმრები იყვნენ მიხეილ ბოტვინიკი და ვიქტორ კორჩნოი, ხოლო მიხეილ ტალი თითქმის ყოველ ზაფხულს სოხუმში ატარებდა. სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ როცა თირკმლის ოპერაცია დასჭირდა, „რიგელმა ჯადოქარმა“ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვა პრესტიჟულ კლინიკებს თბილისისა ამჯობინა და არჩევანი სოკრატ არშბაზე შეაჩერა. მახსოვს, როცა ამის შესახებ რაულ ჯობავამ დაუსვა კითხვა, ტალმა მიუგო: ჩვენ ორივენი მსოფლიო ჩემპიონები ვართ — მე ჭადრაკში, ბატონი სოკრატი კი უროლოგიაშიო.

**ღუდა აბსანძე**

***საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, იძულებით გადაადგილებული აფხაზეთიდან.***

● პრეზიდენტმა სააკაშვილმა მეწარმეებს რამდენიმეჯერ უთხრა, საგადასახადო კოდექსი მარტივი და ყველასთვის გასაგები უნდა იყოსო, მაგრამ ამის მიუხედავად, არ იქნა და არ ინერგება არც ფიქსირებული გადასახადი, არც მარტივი და გასაგები წესები და კანონები



◎ გამოხმაურება

# „...იარონ, იარონ, იარონ...“




## ანუ ერთი ტელეგადაცემის შთაბეჭდილებანი

**მართლაც რომ, მეტად საამო, სასიხარულო, საამაყო მოსასმენელ-საცქერალი გახლდათ გასული კვირის „დროება“.**

სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე პირველად შევიტყვე, რომ ასეთი უნიკალური, გამორჩეული პიროვნებები გვყოლია გვერდით.

საინტერესოა, ცხოვრობენ სადმე, სხვა ქვეყანაში, მსგავსი ადამიანები? თუმცა არა აქვს ამას დიდი მნიშვნელობა.

გადაცემის წყალობით ჩვენ გავეცანით ოთხ გამორჩეულ, ფენომენალურ პიროვნებას:

წყალტუბოელ მათემატიკოს **კობა ფანცხავას**, წუკრიანელ ამოუცნობ **დათა შალვაშვილს**, მხატვარ-პოეტ მოვლენას **ქრისტინე რობაქიძეს** და პეტერბურგში მოღვაწე 27 წლის აკადემიკოს **რიტა კუპრავას.**



არ გინახავთ? სამწუხაროა! იქნებ ტელეარხმა გაიმეოროს ეს გადაცემა!

იქნებ ჩვენმა მეცნიერებმა გაარკვიონ, გაშიფრონ ამ მართლაც უიშვიათესი ადამიანების ფენომენი? ეჭვი არ მეპარება, რომ ასე იქნება!

... გული ჩამწყდა, როდესაც ვუყურებდი, როგორ ართმევდა ხელს დათა შალვაშვილი სიუჟეტის წამყვანს, დაჟინებით ეკითხებოდა: როდის ჩამოხვალო?

ჩავიდეთ, მოვიძიოთ ასეთი ადამიანები, საქართველოში კიდევ იქნებიან მსგავსნი.

წამყვანი ვახსენე! რა სიდინჯით, აზრიანად, დახვეწილად უძღვებოდა რეპორტაჟს გიორგი ახვლედიანი. იგი არასდროს ყელყელაობს კამერის წინ, თავს არ იწონებს, არ ზედმეტობს. იქნებ ზოგიერთმა ტელეწამყვანმა მიბაძოს მას.

„საყვედური“ მაინც უნდა გამოვუცხადო გადაცემის თავკაცს გიორგი თარგამაძეს. დალოცვილო, გამოგეზოგა ასეთი სასიამოვნო სიუჟეტები, ცალ-ცალკე გადაცემებში გადაგენაწილებინა!

რაო? კიდევ გვპირდებით მოულოდნელობებს? ბარაქალა თქვენ, აბა, გაგვახარეთ!

**გურამ გომართელი**

◎ გულის გუხარი

# ნაღმი ორაზროვან კანონებში დევს

**ვარ მაღაზიის მეპატრონე. დღენიადაგ ვაფრთხილებდი გამყიდველს, უქვითროდ არ გაეცა საქონელი, საგადასახადო სამსახურის მუშაკები კი ყოველნაირად ცდილობენ მოიპოვონ ფაქტები საჯარიმო აქტებისათვის. გამყიდველთა გაფრთხილების მიუხედავად, ჩემი მაღაზია მაინც დაჯარიმდა.**

გამყიდველებს კი ვცვლი, იმიტომ, რომ ეს მათი დაუდევრობაა, მაგრამ მე დავზარალდი ჯერ 500, შემდეგ 1500 ლარით. როგორი გადასახდელია ეს დღევანდელ პირობებში?

ჩვენგან გაშვებული გამყიდველები ახლა სხვა მაღაზიაში მუშაობენ და სულაც არ გრძნობენ თავს დასჯილად. ის კი არა, ალბათ გულში დაგვცინიან კიდეც.

საქმისადმი ზემოხსენებული მიდგომა დასახვეწია, ქვითრის შეთავაზებაზე ზოგიერთი მომხმარებელი შეურაცხყოფასაც არ ერიდება. მნიშვნელოვანია ისიც, როგორ გარემოში გიხდება ბიზნესის წარმართვა, საკმაოდ მკაცრი მოთხოვნებია, ხშირად გაუგებარიც, იმდენად ცალმხრივია კანონები, ამას არაერთი დისკუსია და არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა, მაგრამ... მთავარი საგადასახადო კოდექსია, რომელიც მარტივი და შესასრულებლად გასაგები უნდა იყოს.

სამწუხაროდ, იგი კვლავ ორაზროვანია და რთულად შესასრულებელი. მეწარმეობა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და დანაღმულ მინდორში სიარულს ემსგავსება გაუგებარი მაღალი ჯარიმებით.

**კარგი იქნება, მინისტრთა შეცდომების გამო პრეზიდენტები ყოველდღე რომ ვცვალოთ?**

დააშავა მოლარემ, რომელიც ასჯერ გავაფრთხილე, მაგრამ მაინც არ გამოზეჭდა ქვითარი? — ზარალდება და ჯარიმდება არა მოლარე, არამედ, ორგანიზაცია, რაც არაობიექტურია და არადემოკრატიულიც (შესაძლებელია, შემდგომ ეს მოლარე სხვა სალაროსთან მოგვევლინოს)!

ბუღალტრის შეცდომაზეც შესაძლებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი დასაჯონ, ხოლო იგივე ბუღალტერი, რომელმაც სერიოზული შეცდომა დაუშვა, ახლა სხვა ორგანიზაციაში განაგრძობს მოღვაწეობას.

რა გამოდის? ამის ანალოგიით თუ ვიმოქმედებთ, უმაღლეს ხელისუფლებაში, მაშინ მინისტრების მიერ დაშვებული შეცდომებისთვის პრეზიდენტები ყოველდღე უნდა ვცვალოთ.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა მეწარმეებს რამდენიმეჯერ უთხრა, საგადასახადო კოდექსი მარტივი და ყველასთვის გასაგები უნდა იყოსო, მაგრამ ამის მიუხედავად, არ იქნა და არ ინერგება არც ფიქსირებული გადასახადი, არც მარტივი და გასაგები წესები და კანონები.

შედეგიც ცუდია: ის, ვინც კონკრეტულად არღვევს წესებსა და კანონებს, ფაქტობრივად დაუსჯელია, რადგანაც ნაღმი რთულ და ორაზროვან კანონებშია ჩადებული. სამწუხაროდ, აქედან გამომდინარე, ებრძვიან და იჭერენ მათ, ვინც მუშაობს! ასეთი მიდგომა განა მოსაწონია?

კანონი უნდა დაწერონ პრაქტიკოსებმა და არა ნორჩმა თეორეტიკოსებმა, რომელთაც ცხოვრებაში პურიც არ უყიდიათ, სამუშაოსთან პრაქტიკული შეხება არ ჰქონიათ, ისე მოხვდნენ პარლამენტში.

ახლად შექმნილმა შემოსავლების სამსახურმა ეს თუ არ გაითვალისწინა, ქვეყანა წინ ვერ წავა.

**ნოშრევან კუჭუხიძე,**
მეწარმე

◎ უკანონობა

# ასე ვიქმთ მართალ სამართალს?!

## პოლიციელმა 23 წლის ბიჭი დააინვალიდა, მას კი მაღალჩინოსნების ჩარევის შედეგად სასჯელი შეუმსუბუქეს

**ლევან თევზაძე, ლაშა დვალიშვილი და ელგუჯა ნუცუბიძე ამ უკანასკნელის დაბადების დღის აღნიშვნას რესტორანში აპირებდნენ. ისინი გლდანის ხიდთან, ავტოგასამართ სადგურ „ლუკოილთან“ ტაქსს ელოდებოდნენ. მოულოდნელად მათთან ახლოს ჯიპი „პაჯერო“ გაჩერდა, იქიდან იარაღმომარჯვებული დავით გორგაძე გადმოხტა, ბიჭებთან მიიჭრა და უბრძანა, მიწაზე დაწექითო.** მის ბრძანებას მხოლოდ ლევანი არ დაემორჩილა. გორგაძემ პოლიციელის დამადასტურებელი პირადობის მოწმობა ააფრიალა. „ეხლაც არ დაწვებიო?“ მიაძახა თევზაძეს. ხელი სტაცა, თითქმის თავს ზემოთ ასწია და კისრით ძირს დაანარცხა. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ძირს დაწოლილებმა მხოლოდ ის მოასწრეს, მანქანის ნომრები ვიცით და მაინც მოგძებნითო.

5 წუთიც არ გასულა და „პაჯერო“ უკან მობრუნდა. მანქანიდან საჭესთან მჯდომი გადმოვიდა. ბიჭებს რესტორანში წასვლა, გაცნობისა და ყველაფრის დავიწყების აღნიშვნა შესთავაზა. ამ მომენტში თევზაძე ძალიან ცუდად, მოწყვეტილი იყო. ახალგაზრდებს რესტორანში წასვლის ხალისი ნამდვილად არ ჰქონდათ. მათ უცნობებს სასწრაფოში დარეკვა სთხოვეს. გორგაძემ სასწრაფოში დარეკვაზე უარი განაცხადა. მან „სამეულს“ საავადმყოფოში მიყვანა შესთავაზა. ბიჭები დათანხმდნენ. მანქანაში გორგაძემ გამოიღო თავი და უკან მსხდომთ დაჟინებით ეპატიჟებოდა რესტორანში.

ლევანის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. გზაში მას გული აერია და გონება დაკარგა. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტეს უცნობებმა თევზაძისა და მისი ახლობლების რესტორანში მიპატიჟება. დაზარალებული და მისი ოთხი თანმხლები ახალგაზრდა საავადმყოფოში მიიყვანეს.

მიყენებული ტრავმა უმძიმესი აღმოჩნდა. თევზაძე დიდხანს იწვა რეანიმაციულ განყოფილებაში. საბოლოოდ ექიმებმა მისი გადარჩენა მოახერხეს. მედიკოსების დიდი მცდელობის მიუხედავად, 23 წლის ბიჭი I ჯგუფის ინვალიდად დარჩა. მას განუვითარდა სახის ასიმეტრია და შეზღუდული აქვს ცალი კიდურის მოძრაობა.



გორგაძე დააკავეს. იგი თავიდან უარყოფდა ძალადობას და აცხადებდა, რომ თევზაძეს მხოლოდ ხელი ჰკრა. იგი წაბორძიკდა, დაეცა და თავი დაარტყა. იგივე ჩვენებას იძლეოდა „ჯიპის“ საჭესთან მჯდომი იაგო კელაპტრიშვილიც. დაზარალებულის თანმხლებ პირებთან დაპირისპირების შემდეგ მან ჩვენება შეცვალა და სრული სიმართლე აღიარა.

მოწმის სტატუსით დაკითხულმა კელაპტრიშვილმა აჩვენა, რომ ქუჩაში მანქანით მომავალნი, იგი გორგაძემ უცბად გააჩერა, ჩხუბობენო. გორგაძე მანქანიდან იარაღმომარჯვებული გადმოხტა. ბიჭებთან მიიჭრა და იარაღის მუქარით ასფალტზე დააწვინა. პოლიციელი კელაპტრიშვილს უყვიროდა, რომ გადმოსულიყო მანქანიდან და ძირს დაწოლილები გაეჩხრიკა. „მე არ ვარ პოლიციელი და ჩხრეკის ჩატარებაზე უარი ვთქვი“, წერს თავის ჩვენებაში მოწმის სტატუსით დაკითხული. იგი არც იმას მალავს, რომ ახალგაზრდებს გორგაძე აგინებდა, ხოლო უკვე ძირს დაწოლილებს წიხლებს ურტყამდა. გამომძიებლის კითხვაზე, თუ რატომ თავიდანვე არ მისცა მან სწორი ჩვენება, კელაპტრიშვილმა ასეთი პასუხი გასცა, გორგაძე ჩემი სოფლელია და შემეცოდაო.

დავით გორგაძეს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით წაუყენეს ბრალდება. მაგრამ პოლიციის მაღალჩინოსანთა ჩარევის შემდეგ ბრალდება მოეხსნა და მას მხოლოდ სხეულის განზრახ დაზიანების მუხლით გაასამართლებენ.

როგორც ვთქვი, მომხდარის შედეგად ლევან თევზაძე პირველი ჯგუფის ინვალიდი გახდა. ავადმყოფობა პროგრესირებადი რომ არ გახდეს, მას სისტემატური მკურნალობა სჭირდება, ეს სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, რისი მატერიალური შესაძლებლობაც თევზაძეების ოჯახს არ გააჩნია.

შსს თანხებს ზოგავს და ინვალიდებს ბედის ანაბარად ტოვებს.

იურისტების განმარტებით, ქვეყანაში მოქმედი კანონით „პოლიციის შესახებ“ როდესაც სამძებროს თანამშრომელი დანაშაულებრივ ქმედებას სჩადის, პასუხისმგებლობა მთლიანად შსს-ს ეკისრება. დანაშაულის ჩადენის მომენტში დავით გორგაძე პოლიციის ისანი-სამგორის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი ინსპექტორი იყო. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის მკურნალობის თანხები შსს-ს უნდა გაეღო. სამინისტროში ეტყობა ბევრი იფიქრეს, როგორ აეცილებინათ თავიდან თანხების გადახდა და... ოფიციალურად გააყალბეს დოკუმენტაცია.

იმავე „პოლიციის შესახებ“ კანონით, თუ შსს-ს დაცვის პოლიციის თანამშრომელი თავისი პოსტიდან არის გამოსული და სჩადის დანაშაულს, პასუხისმგებლობა პირადად მას ეკისრება. სამინისტროშიც გადაწყვიტეს ოპერატიული თანამშრომელი დაცვის პოლიციელად გაესაღებინათ და გასული წლის 23 ივნისს გორგაძის მიერ ჩადენილ დანაშაულს დაურთეს 21 ივნისს გამოსული ბრძანება, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებული გორგაძე მომხდარ ინციდენტამდე ორი დღით ადრე სამუშაოდ გადაყვანილ იქნა დაცვის პოლიციაში. დაზარალებულის ადვოკატთა განმარტებით, ეს დოკუმენტი გაყალბებულია, რამეთუ ბრძანება ძველი რიცხვითაა დაწერილი და მისი შემქმნელები კანონით თვითონ უნდა წარსდგნენ სასამართლოს წინაშე.

სპეციალისტთა აზრით, „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ ყოველი ახალი მინისტრი შსს-ს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების კამპანიას ატარებს. შერისხულთა შორის უმეტესობა ძველი, გამოცდილი, პროფესიონალი კადრია. ახალგაზრდა მინისტრები ვაკანსიების შევსებას შემთხვევითი, მაგრამ მათი ერთგული ხალხით ცდილობენ. ამის შედეგს ნათლად ვხედავთ. სისტემა გაივსო უცოდინარი, არაკვალიფიციური, მაგრამ ამბიციური თანამშრომლებით. ახალმოსულთა უმეტესობას ჰგონია, რომ რადგან იარაღი ანდეს და პოლიციელის დამადასტურებელი მოწმობა მისცეს, ყველაფრის უფლება აქვთ და დაუსჯელნიც დარჩებიან. სწორედ ახალმოსულთა სინდისზეა პოლიციელთა მიერ მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფის, ის გახმაურებული ფაქტები, რომელნიც სერიოზულად ულახავენ ავტორიტეტს სისტემას და კიდევ უფრო ამძიმებენ ისედაც უმართაობის დონემდე მისულ კრიმინოგენურ ვითარებას.

**ზაზა ბილიხოძე**

№ 133. ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2007 წელი.

# სხვადასხვა

● კათოლიკოს-პატრიარქის დეპეშამ ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებაში ჭეშმარიტად დიდი როლი შეასრულა. მერწმუნეთ, ვერავითარი დოპინგი იმას ვერ მოიმოქმედებდა, რაც უწმინდესისა და უნეტარესის დეპეშის ტექსტმა ჰქნა. გავბედავ და მადლობას მოვახსენებ მას, ყველა ქართველი ფეხბურთის გულშემატკივართა სახელით



◎ მოგონებანი გარდასულ დღეთა...

# ღმერთი ზემოდან იყურება

**1977 წლის დეკემბრის 23 რიცხვია. ზამთრის წყნარი, მშვიდი ამინდი იდგა. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ინტრონიზაცია უნდა ჩატარდეს. საზეიმო ცერემონიაზე დასასწრებად ნოდარ ახალკაცთან და თენგიზ ჩანტლაძესთან ერთად მცხეთაში ჩავედი.**



ტაძარში ოდნავი ხალვათობა შეიმჩნეოდა. ეს არც იყო გასაკვირი. მაშინ ხომ ხელისუფლება მორწმუნეებს დევნიდა და აშინებდა. საინტერესო ცერემონიის დამთავრების შემდეგ, არმაზში ჯემალ ჭოლოშვილს ვესტუმრეთ. მასპინძელს წინასწარ თადარიგი დაეჭირა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მგალობლებიც კი დაგვახვედრა. ამ დროიდან დაწყებული 18 წლის მანძილზე იმ დღეს ჩვენი საძმო მხოლოდ არმაზის წმინდა მიწაზე აღნიშნავდა.

ინტრონიზაციიდან ოთხი წლის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ნოდარ ახალკაცი საერთო ეროვნულმა საქმემ ერთმანეთს დააკავშირა. 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, ევროპის თასის გათამაშების ფინალში, იენის გუნდს „კარლ ცაისს" შეხვდა. იმ საღამოს იმერი თუ ამერი, აფხაზეთი თუ ოსეთი მრგვალმა ბურთმა ერთ მუშტად შეკრა და შეაკავშირა. დაუვიწყარ ისტორიულ გამარჯვებაში თანაბარი წილი მიუძღვის ქართველს, ოსს და აფხაზს. ნეტავ, ის დრო მალე აღდგებოდეს. ეს შეუძლია მხოლოდ რწმენას და იმ პატარა მრგვალი ბურთის ჯადოს, რომელმაც მსოფლიოს ყველა ხალხი, რასისა თუ სარწმუნოების გაწურჩევლად, ერთიმეორეს დააკავშირა.

აი სწორედ მაშინ ერის სულიერი წინამძღვარი ილია II ერთადერთი ქართველი ბრძანდებოდა, ვინც გერმანიაში დეპეშით გაამხნევა ქართველი ფეხბურთელები და გამარჯვება უსურვა: ერი და ბერი ყველა თქვენ შემოგცქერით, თქვენი იმედი აქვთ, აბა თქვენ იცით და თქვენმა ქართველობამო. კათოლიკოს-პატრიარქის დეპეშამ ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებაში ჭეშმარიტად დიდი როლი შეასრულა. მერწმუნეთ, ვერავითარი დოპინგი იმას ვერ მოიმოქმედებდა, რაც უწმინდესისა და უნეტარესის დეპეშის ტექსტმა ჰქნა. გავბედავ და მადლობას მოვახსენებ მას, ყველა ქართველი ფეხბურთის გულშემატკივართა სახელით.

გამარჯვებული გუნდი თბილისში რომ დაბრუნდა, ნოდარ ახალკაცი ილია II რეზიდენციაში ეახლა და ოფიციალურად მადლობა გადაუხადა. თავის მხრივ ილია II ნოდარ ახალკაცს შეპირდა, რომ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ესტუმრებოდა და ფეხბურთელებს სამახსოვრო ოქროს ჯვრებს გადასცემდა. სამწუხაროდ, მაშინდელმა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ეს კარგად ჩაფიქრებული ღონისძიება ჩაშალა და ამით ფეხბურთელებს გული ატკინა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყანაში ბევრი ეკლესია-მონასტერი აშენდა. ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე ეკლესიებში მლოცველთა სიმრავლეა. მორწმუნეთა მრავალათასიანი მრევლი დიდი გულისყურით ელოდება ილია II საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეებს. ხშირად მიფიქრია: ნეტა თუ კითხულობენ ამ ეპისტოლეებს ჩვენი მთავრობის წევრები, მინისტრები ან პარლამენტარები? მე მგონი, რომ არა, მათი მოქმედებიდან ეს არ ჩანს.

აქვე მოვიტან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II სააღდგომო ეპისტოლედან მცირე ამონარიდს, რომელიც ჩვენში ახალგაზრდობის აღზრდას მეტად ფაქიზ საქმეს შეეხება:

**... „აღზრდის საქმეში მასწავლებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არ შეიძლება სკოლაში შემთხვევითი ადამიანები მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ამას ჩვენთან არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის გამოც ყველაზე მეტად მომავალი თაობა ზიანდება. მასწავლებელს ბავშვები უნდა უყვარდეს და მშობლივით უნდა მოექცეს მათ. ამასთან, თვითონაც უნდა შეაყვაროს მან თავისი თავიც და თავისი საგანიც. ამასთან აუცილებელია, რომ იგი არ შემოიფარგლოს მხოლოდ საგნის სწავლებით და ცხოვრებისთვისაც მოამზადოს ისინი. ამ მიზნით მოსწავლეებთან უნდა ჩაატაროს კლასგარეშე შეხვედრები და საუბრები მათ მომავალზე, იმ პრობლემებზე, რომელიც ახალგაზრდებს ცხოვრებაში შეიძლება შეხვდეთ. ასწავლოს ავისა და კარგის გარჩევა, ასწავლიდეს სწრაფი რეაგირების კულტურას.**

**მიმაჩნია, რომ ყველაზე მაღალი ხელფასი საშუალო და უმაღლესი სკოლების პედაგოგებს უნდა ქონდეთ, რადგან ისინი აყალიბებენ ქვეყნისა და ერის მომავალს და არ არსებობს ამაზე მეტად საპასუხისმგებლო სხვა პროფესია. ეს საქმიანობა უნდა იყოს პრესტიჟული და ეს წოდებაც დიდი შრომის ფასად უნდა მიენიჭოს ამა თუ იმ ადამიანს".**

ვფიქრობ, ჭკუის სასწავლებელი, გონივრული და დასაფიქრებელი განცხადებაა. ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ და რით უპასუხებენ ამ იდეას განათლების მესვეურები.

**დურმიშხან ცინცაძე**



◎ ბორის დარსაძე — 80

# ერთგული და ულალატო



**ალბათ, ბევრმა არც კი იცოდა, რომ იმ კალენდრების შემქმნელი, დღე და დღე რომ ფურცელ-ფურცელ პატარავდებოდა მიმავალი წელიწადივით ბორის დარსაძე იყო, რომელიც ცოდნას, გამოცდილებას, და, რაც მთავარია, უანგარო შრომას არ იშურებდა პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის, სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმნის და დაინტერესებული ქართველი მკითხველისთვის მისაწოდებლად.**

ნამდვილად ტიტანური შრომა სჭირდებოდა ისეთი უზარმაზარი წიგნის თარგმნას, როგორიც „ნიურბერგის პროცესის" შვიდტომეულია. სამწუხაროდ, ბატონი ბორისი მის გამოქვეყნებას ვერ მოესწრო. შესაძლოა, ამ დიდი საქმის გაგრძელება მეუღლის — რუსუდან სირაძისა ეიმედებოდა, დიდხანს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" რედაქტორად რომ მუშაობდა. მაგრამ მოსიყვარულე ქალბატონმა ორი წლის წინათ გარდაცვლილი მეუღლის გარეშე ვერ გაძლო... ახლა ქალიშვილი, შორენა და ორი შვილიშვილი თუ მიხედავენ მის მდიდარ მემკვიდრეობას.

ბორის დარსაძე დიდხანს საქინფორმში მთარგმნელად მუშაობდა, მჭიდრო საქმიანი და მეგობრული კავშირი ჰქონდა ჩვენს გაზეთთან. სწორედ „საქართველოს რესპუბლიკაში" ქვეყნდებოდა მისი მრავალი თარგმნილი მასალა. შეიძლება ითქვას, საღებავიც კი არ შეშრობოდა ჩვენი გაზეთის იმ ნომრებს, ბატონი ბორისის ბოლო ნამოღვაწარი რომ დაიბეჭდა, როცა სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ — მისი მოულოდნელი გარდაცვალება.

დღეს ამ ქვეყნისა და ოჯახის, მეგობრების ერთგულ, ულალატო კაცს, უაღრესად განათლებულ პიროვნებას, 80 წელი შეუსრულდებოდა. ამ ამბავმა ერთხელ კიდევ კეთილად მოგვაგონა იგი.

**გელა გაჩეჩილაძე**

მეუღლე ბორის სარალიძე, შვილები ოლიკო, ნონა, ზურიკო, შვილიშვილები ლევანი, ზუკა, ნიკუშა, თუთა, სიძეები გეგი მატარაძე, ბუკა იოვაძე, დები ციური, რუსუდან მელაძეები, მძახლები ლევან, ინეზა მატარაძეები, ილო იოვაძე ოჯახით, ციცო გვათუა, მაზლები გურამ, ვახტანგ სარალიძეები, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ცარო ვლადიმერის ასული მელაძე-სარალიძისა

პანაშვიდი 12, 13 VII, 17 სთ. ჭაჭავაძის №75, მე-3 სადარბაზო, მე-7 სართული. გამოსვენება 14 VII, ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოძ, 15 სთ.

---

ნანა, გივი გაღელიები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი მეგობრის

ცარო სარალიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დათო, გოგი, მარიზა, მონიკა ხეჩინაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ღამბაშიძის

ტრაგიკულად დაღუპვას.

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: 2005 წლის 24 ოქტომბრიდან ავადმყოფობის გამო დათხოვნილი ვარ შს ორგანოებიდან. ხელფასის სახით ვიღებდი 404 ლარს, გარდა ამისა, თანამდებობრივ, სპეციალური წოდების, წელთა ნამსახურეობის პროცენტულ დანამატს და სასურსათო სარგოს სახით ფულად კომპენსაციას, ასევე მეკუთვნის წინა წლის გამოუყენებელი შვებულების თანხა ბოლო თვის ხელფასის მიხედვით.**

**გთხოვთ, წერილობით მაცნობოთ 2005 წლის 24 ოქტომბერს შს ორგანოებიდან პენსიაზე გასულ ზემოაღნიშნული პირობების მქონე თანამშრომელს რა თანხები ეკუთვნის?**

**ალექსანდრე კანკავა**

**პასუხი:** თქვენს შეკითხვაში დასმული საკითხები მოითხოვს ოფიციალური დოკუმენტების შემოწმებას და საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ მიღებას. თანაც, რედაქცია შემოსულ შეკითხვებზე წერილობით პასუხს არ იძლევა.

გირჩევთ, თქვენთვის საინტერესო საკითხზე განცხადებითა და სათანადო საბუთებით მიმართოთ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაბამის დეპარტამენტს, საიდანაც მიიღებთ კომპეტენტურ წერილობით პასუხს თქვენთვის მნიშვნელოვან ყველა კითხვაზე. თუ მათი პასუხით უკმაყოფილო დარჩებით, შეგიძლიათ, უშუალოდ ფონდის ხელმძღვანელობას მიმართოთ.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, მოქმედი კანონის თანახმად, გამოცხადებულია თუ არა 9 აპრილი უქმე დღედ? ჩვენ არ დაგვასვენეს.**

**მკითხველი**

**პასუხი:** 9 აპრილი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა ხსოვნის დღე, ამიტომ იგი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა უქმე დღედ. იგი უქმე დღედ არის დაკანონებული დღევანდელი შრომის კოდექსის მე-10 მუხლითაც.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

მიმდინარეობს სს „სანატორიუმი ფაზისის" სალიკვიდაციო პროცესი. წინადადებების და პრეტენზიების შემთხვევაში მოგვმართეთ. მის: ონის რაიონი, სოფელი უწერა, სს „სანატორიუმი ფაზისი", ნელი გვარაძე. ტელ: 899 53 63 52.

◎ ინფორმაცია

## რიკოთი სამი დღით დაიკეტება

**— საავტომობილო მაგისტრალის თბილისი-სენაკი-ლესელიძე რიკოთის გვირაბით მოძრაობა ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებისთვის 9, 10 და 11 ივლისს საღამოს 22 საათიდან დილის 8 საათამდე აკრძალულია, — განაცხადა საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელმა ზაზა სხირტლაძემ.**



მისი თქმით, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელ ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მოძრაობის შეზღუდვები გზის სავალ ნაწილზე პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების ჩატარებას უკავშირდება. ტრანსპორტის მოძრაობა შემოვლითი გზით - რიკოთის უღელტეხილით არის შესაძლებელი.

**ქი-ეიჩ-ენი**

**● გლდანში მომხდარი ყაჩაღობის დროს დაზარალებულ პირებს მკურნალობის ხარჯებს „საქართველოს ბანკი" აუნაზღაურებს. ამის შესახებ „საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა №8 საავადმყოფოში განაცხადა, სადაც დაჭრილები მოინახულა**



◉ კრიმინალი

# ტრაგიკული თავდასხმა ბანკზე

**„საქართველოს ბანკის" გლდანის ფილიალზე ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ბანკის საინკასაციო სამსახურის თანამშრომელი ზურაბ მალანია დაიღუპა. იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. თავდასხმა გლდანის „ა" მიკრორაიონში მდებარე ბანკის ფილიალზე დაახლოებით, ნაშუადღევს მოხდა. სამი ნიღბიანი პირი ბანკის ინკასატორებს მაშინ დაესხა თავს, როდესაც მათ ბანკში ფული შეჰქონდათ.**



სროლის დროს ბანკის ორი ინკასატორი და ერთი გამვლელი დაიჭრნენ. დაზარალებულები სანზონაში მდებარე №8 საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შემთხვევას თვითმხილველებიც ჰყავს. „საქართველოს ბანკის" გლდანის ფილიალში გუშინ მომხდარი თავდასხმის დროს დაჭრილ საინკასაციო სამსახურის ორ თანამშრომელს სასწრაფო ტრავმატოლოგიური ოპერაციები ჩაუტარდათ.

* * *

**გლდანის მე-2 მიკრორაიონში, ქერჩის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინასთან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები და კინოლოგები მუშაობენ.**



ამ კორპუსში მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ, სავარაუდოდ, „საქართველოს ბანკის" ფილიალზე თავდასხმაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი აღნიშნულ კორპუსში ცხოვრობს.

გარდა ამისა, არსებობს ვერსია, რომ თავდამსხმელები ხიზანიშვილის ქუჩიდან თიანეთის გზატკეცილზე გავიდნენ და მცხეთის მიმართულებით წავიდნენ.

საპატრულო პოლიციის მანქანები სწორედ ამ მიმართულებით გავიდნენ.

* * *

**გლდანის „ა" მიკრორაიონში „საქართველოს ბანკის" ფილიალის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილი პირები ავტოავარიაში მოყვნენ.**

დადასტურებული ინფორმაციით, დამყაჩაღებლები „ოპელ ასტრას" მარკის გატაცებული ავტომობილით მოძრაობდნენ, რომლის ნომერია – „BHP-995". თავდამსხმელთა იარაღი, ავტომატები და ხელყუმბარები სწორედ ამ მანქანაშია ნაპოვნი.

წინასწარი ვერსიით, პოლიცია სამ ეჭვმიტანილს ეძებს. არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელები ხიზანიშვილის ქუჩიდან თიანეთის გზატკეცილზე გავიდნენ და მცხეთის მიმართულებით წავიდნენ.

* * *

**გლდანში მომხდარი ყაჩაღობის დროს დაზარალებულ პირებს მკურნალობის ხარჯებს „საქართველოს ბანკი" აუნაზღაურებს.**

ამის შესახებ „საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა №8 საავადმყოფოში განაცხადა, სადაც დაჭრილები მოინახულა. როგორც მან აღნიშნა, ბანკის თანამშრომლები დაზღვეულები იყვნენ.

მისივე თქმით, გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებსაც „საქართველოს ბანკი" აანაზღაურებს.

* * *

**თანხას, რომელიც „საქართველოს ბანკის" გლდანის ფილიალიდან გაიტაცეს, პოლიციამ მიაგნო.**

როგორც შემთხვევის ადგილზე მყოფმა პოლიციელებმა პირად საუბრებში განაცხადეს, თანხა ამოღებულია ავტომანქანა „ოპელ ასტრადან", რომლითაც თავდამსხმელები თავდაპირველად მოძრაობდნენ. თანხის ოდენობა არ სახელდება.

როგორც ცნობილია, ამავე ავტომანქანაში ნაპოვნია იარაღიც, თუმცა, სავარაუდოდ, მათ იარაღის ნაწილის წაღება მოასწრეს, რადგან „ოპელ ასტრას" მიტოვების შემდეგ მათ გაიტაცეს „დაიჰაცუს" მარკის ავტომანქანა, რომელიც უკვე ნაპოვნია.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

# ჩინელები გვასწავლიან, როგორ ავიცილოთ „საცობები"?

**ტრანსპორტით გადატვირთული ქალაქებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი „სატკივარია" საგზაო „საცობები" – გზებსა და გზაჯვარედინებზე ჩახერგილი უამრავი მანქანა, გამოცდილ ავტოინსპექტორებსაც რომ უჭირთ მათი მოძრაობის (უფრო სწორედ – უძრაობის) მოწესრიგება.**

ჩინეთში რეფორმები ავტოგზებით დაიწყეს. იქ ფასიანი გზები იდეალურია (მათზე კილომეტრის გავლა დაახლოებით ჩვენებური 7-10 თეთრი ღირს). მათ სახელმწიფო აშენებს (კერძო გზებს მხოლოდ ერთი პროცენტი უკავია) საკუთარ ხარჯზეც და უცხოური სახსრებითაც.

ისეთ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში, როგორც, მაგალითად, შანხაია (17 მილიონი მოსახლეობით), „საცობებს" ებრძვიან კანონების დახმარებით. რათა ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი მიიღო, თითქმის 7 ათასი დოლარი უნდა გადაიხადო. თანაც, დაწესებულია კვოტები – წელიწადში არაუმეტეს 6 ათასი ნომრისა. ამიტომაც უწევთ რიგებში დიდხანს დგომა.

საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებაზე წესრიგს აქტივისტი პენსიონერები იცავენ, სასტვენებითა და ალმებით ისინი აწესრიგებენ ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში ჩამჯდომ მგზავრთა რაოდენობას. მკაცრად ამოწმებენ, რათა ურიგოდ არავინ გაძვრეს.

ყოველივე ამას ისინი უფასოდ აკეთებენ, მგზავრები კი უსიტყვოდ ემორჩილებიან.

◉ ვულოცავთ!

# ბონდო ჩვამანიას

*დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ბონდო, ოქრო გულისა და ოქრო ხელების პატრონო, გემრიელო კოლხო კაცო! ჯანმრთელობას, შენი საქართველოსა და შენი ოჯახის ბედნიერებას გისურვებთ, ჩვენო ძმაკაცო!*

შენი ალექსანდრესბაღელი მეგობრები

◉ ანეკდოტები



**მაღაზიებში რანაირ შამპუნებს არ წააწყდები კაცი! ეს ქერტლის საწინააღმდეგოო, ეს თმის მოცულობის გასაზრდელიო, ეს თმისთვის ბრწყინვალების მიმცემიო... საინტერესოა, არის კი შამპუნი, რომლითაც თავის დაბანა შეიძლება?**

* * *

**დიდი მადლობა კოლუმბს. ის რომ არ ყოფილიყო, ახლა ყველა ამერიკელი ჩვენთან, ევროპაში იცხოვრებდა.**

* * *

**უმაღლესში მოსაწყობად საჭიროა კარგი ცოდნა, ცოდნა და კიდევ ერთხელ ფული!**

* * *

**წარწერა სარკეზე: თუ დარწმუნებული არა ხარ, ნუ მომიახლოვდები!**

* * *

**– მამაჩემი მოკრივეა და მამაშენს ცხვირ-პირს დაანგრევს! – ემუქრება პეტკა ფედკას.**

**– მე მამა არა მყავს. მაგრამ ბიძაჩემი ჰომოსექსუალისტია და იცი, მამაშენს რას უზამს?!**

◉ ლარის კურსი

**11 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3650 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6685 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2770 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0650 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9508 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4919 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3191 ლარი. |

◉ კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში". მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.